

## ფრიდრიხ ჰაიეკის "გზა ბატონყმობისაკენ"

### თანამედროვეობის ჭრილში

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ფრიდრიხ ჰაიეკი 1899 წლის 8 მაისს დაიბადა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დედაქალაქ ვენაში. მამამისი, აუგუსტ ფონ ჰაიეკი იყო ექიმი და ასევე ვენის უნივერსიტეტის ბოტანიკის პროფესორი. ფრიდრიხის ბაბუა, გუსტავი, იყო აგრეთვე ბიოლოგი, რომელმაც რამოდენიმე მონოგრაფია დაწერა დარვინის მოძღვრებაზე. ჰაიეკის დედა, ფელიციტასი, იყო ფრანც ფონ იუაშეკის ქალიშვილი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ავსტრიული ეკონომიკის სკოლის წარმომადგენელთან იუჯინ ფონ ბომ-ბარკთან. დედა ფილოსოფოსის ლუდვიგ ვიდგენშტეინის ახლო ნათესავი გახლდათ.

ჰაიეკი ადრეული პერიოდიდან გაეცნო საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიურ წიგნებს, ეზიარა დარვინის ბუნებრივი ევოლუციის თეორიას. პირველ მსოფლიო ომში ავგუსტ ჰაიეკი ავსტრია-უნგრეთის ჯარში მსახურობდა არტილერიის ოფიცრად. ომში გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს კიდევ. ჯარის შემდეგ ჰაიეკმა გადაწყვიტა აკადემიურ კარიერას გაჰყოლოდა.

1921-23 წლებში ჰაიეკმა სამართალის და პოლიტიკური მეცნიერების დოქტორანტურა დაამთავრა ვენის უნივერსიტეტში. აქვე მიიღო დოქტორის ხარისხი სამართალსა და პოლიტიკურ მეცნიერებებში. ჰაიეკი სწავლობდა კონსტანტინ ფონ მონაკოვის ტვინის ანატომიის ინსტიტუტში, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდა

ერნსტ მახის ნაშრომებით. სწორედ ამ პერიოდის გავლენით დაიწერა შრომა "მგრძნობელობითი წესრიგი" (გამოქვეყნდა 1952 წელს).

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ფრიდრიხ ჰაიეკი ავსტრიის მთავრობამ მრჩევლად აიყვანა სენ-ჟერმენის ხელშეკრულების იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებზე სამუშაოდ. 1923-24 წლებში, იგი მიიწვიეს ნიუ იორკის უნივერსიტეტში მკვლევარ ასისტენტად. იმავე პერიოდში მუშაობდა აშშ-ის ფედერალური რეზერვების ოპერაციების საკითხებზე.

ნიუ იორკში ერთი წლის გატარების (1923-24) შემდეგ, ჰაიეკი მშობლიურ ვენაში დაბრუნდა და ლუდვიგ ფონ მიზესის მიერ დაარსებულ ცნობილ კერძო სასემინარო ციკლში მსმენელად ჩაერთო.

1927 წელს ჰაიეკმა ლუდვიგ ფონ მიზესთან ერთად დაარსა ეკონომიკური კვლევების ავსტრიის ინსტიტუტი, რომელიც მისი თაოსნობით ეკონომიკური ციკლების კვლევის წამყვანი ევროპული ცენტრი გახდა. 1929 წელს თავის ერთ-ერთ წერილში ჰაიეკმა პირველმა იწინასწარმეტყველა ამერიკის ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა როგორც "30-იანი წლების დიდი დეპრესია".

1931 წელს ჰაიეკმა ლონდონის ეკონომიკის სკოლიდან მოწვევა მიიღო. 1930-იან წლებში გამოქვეყნდა მისი შრომები ეკონომიკურ თეორიაში, რომლებმაც მას სამეცნიერო სამყაროში ფართო აღიარება მოუტანა. ამავე პერიოდში ჰაიეკი ინგლისში მოდად ქვეულ დებატების აქტიური მონაწილე გახდა. ჰაიეკი ეპაექრებოდა ისეთ ცნობილ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ ჯონ მეინარდ ქეინზი, პიერო სტაფა და ფრანკ ჰ. ნაითი.

ცნობილი ბრიტანელი ეკონომისტი ჯონ ჰიქსი, მრავალი წლის შემდეგ აღნიშნავდა: "როდესაც დაიწერება 30-იანი წლებში ეკონომიკური ანალიზის განვითარების ისტორია, ამ დრამის (და ეს იყო ნამდვილი დრამა) მთავარი გმირი იქნება პროფესორი ჰაიეკი. იყო დრო, როდესაც მთავარი ორთაბრძოლა ხდებოდა

ჰაიკისა და ქეინზის ახალ თეორიებს შორის. ვინ იყო სწორი - კეინსი თუ ჰაიკი?" (Hicks J. 1967). იმ დროს, გამარჯვება, ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით, დარჩა კეინსს, რომლის იდეები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ, დიდხანს იყო დასავლური სამყაროს მთავრობების სამოქმედო პროგრამად.

1944 წელს ჰაიკი აქვეყნებს წიგნს "გზა ბატონყმობისაკენ", რომელმაც გარკვეულწილად, გარდამტეხი როლი ითამაშა მის შემდგომ ბედზე. 1947 წელს ჰაიკმა ჩამოაყალიბა საზოგადოება "მონტ-პელერიპი", სადაც გაერთიანდნენ ლიბერალურად მოაზროვნე ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, სამართალმცოდნეები, პოლიტოლოგები და ჟურნალისტები.

1950 წელს ჰაიკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად და ჩიკაგოს უნივერსიტეტის (აშშ) სოციალურ მეცნიერებათა და ეთიკის პროფესორი გახდა. 1962 წელს ევროპაში დაბრუნდა რადგან დასავლეთ გერმანიაში ფრაიბურგის უნივერსიტეტში მიიღო ეკონომიკური პოლიტიკის პროფესორის აკადემიური თანამდებობა. 1969 წელს ავსტრიის ქალაქ ზალცბურგის უნივერსიტეტში გადავიდა სამუშაოდ კონსულტანტ პროფესორად. 1977 წელს იგი ისევ ფრაიბურგს დაუბრუნდა.

50 – 60-იანი წლები ყველაზე მძიმე იყო ადამიანის ცხოვრებაში. მისი კავშირები მეცნიერებთან შესუსტდა, სამეცნიერო სამყარო მას საკმაოდ ოდიოზურ ფიგურად მიიჩნევდა. მაგრამ 1974 წელს ჰაიკს ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის მიანიჭეს ნობელის პრიზი (ამდროისათვის იგი უკვე 75 წლის იყო), რაც მისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. თუმცა, მხოლოდ ამას არ გამოუწვევია ჰაიკისადმი ინტერესის გამოღვიძება. მაკროეკონომიკური რეგულირების ქეინზიანური პოლიტიკის იდეების კრიზისმა, რაც 70-იანი წლებიდან დაიწყო, დაადასტურა ჰაიკის მიერ მოწოდებული გაფრთხილებების სამართლიანობა: კეინზის რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელებამ მშვიდობიანი პერიოდისათვის უპრეცედენტო გლობალური ინფლაცია, მასიური უმუშევრობა განაპირობა.

70-იან წლებში, ჰაიეკი სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელის დაშლის, 80-იან წლებში "რეალური სოციალიზმის" კრიზისის მოწმე გახდა. მის თვალწინ შეიცვალა დამოკიდებულება კლასიკური ლიბერალიზმის ფასეულობების მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ 80-იანი წლებიდან დასავლური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკის შემობრუნება შთაგონებული იყო ჰაიეკის იდეებით.

ჰაიეკის უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: "ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წესი" (1948). "მეცნიერების კონტრევოლუცია" (1952), რომლებშიც ჰაიეკი გვიჩვენებს სოციალიზმის ინტელექტუალურ საწყისებს, რომელიც ეფუძნება სენ სიმონის და პარიზის პოლიტექნიკური სკოლის კურსდამთავრებულების იდეებს. სწორედ აქედან იღებს სათავეს საზოგადოებაზე "საინჟინრო" ხედვა, რომლის მიხედვით კაცობრიობას შეუძლია წინასწარ განსაზღვრული რაციონალური გეგმის მიხედვით აკონტროლოს და მართოს მისი მომავალი ევოლუცია. ჰაიეკმა ასეთ აზროვნებას "კონსტრუქტივისტული რაციონალიზმი" უწოდა. 1960 წელს გამოქვეყნდა "თავისუფლების კონსტიტუცია", რომელსაც ჰაიეკის მიმდევრები მის opus Magnum-ს უწოდებენ. იგი წარმოადგენს კლასიკური ლიბერალიზმის, "თავისუფლების ფილოსოფიის" პრინციპების სისტემატიზაციას. 1970-იან წლებში გამოქვეყნდა მისი ტრილოგია "სამართალი, კანონმდებლობა და თავისუფლება" რომელმაც დიდი როლი ითამაშა ლიბერალიზმის შემდგომ განვითარებაში.

ოთხმოცი წლის იყო როდესაც გამოქვეყნდა მისი ბოლო წიგნი - "ფატალური თვითდაჯერებულება - სოციალიზმის შეცდომები" (1988), რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც თანამედროვე ლიბერალიზმის ერთგვარი მანიფესტი. მასში იგი დაწვრილებით განიხილავს მის ოპონენტ სოციალისტებისათვის საყვარელ მეთოდს - ფართოდ გამოყენებული ცნებების გაუკუღმართებულ გაგებას, რომელსაც ეძღვნება წიგნის სპეციალური თავი, რომელსაც ეწოდება - "ჩვენი მოწამლული ენა". იგივე ბედი ეწია ტერმინს - ლიბერალიზმი, რომლის უზურპირებაც მოახდინეს აშშ-ში საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევების გაძლიერების მომხრეებმა და რომელსაც დასავლეთ ევროპული სტანდარტებით, საკმაოდ დამსახურებულად

უწოდებენ "სოციალისტურს". ამიტომ, ტერმინოლოგიური დაბნეულობიდან თავის დასაღწევად, უნდა გვახსოვდეს, რომ ჰაიეკის "კლასიკური", "ევროპული" ლიბერალიზმი ფ. რუზველტის და ჯ. გელბრეიტის ამერიკული პროგრესისტული ლიბერალიზმის საპირისპიროა.

### **"გზა ბატონყმობისაკენ"**

ფრიდრიხ ჰაიეკის "გზა ბატონყმობისაკენ" ითვლება კლასიკური ლიბერალიზმის ფუნდამენტურ შრომად. წიგნი გამოსვლისთანავე ბესტსელერი გახდა. იგი შემდგომში მრავალჯერ გამოიცა და ითარგმნა თითქმის ოც ენაზე. წიგნი თვით ფაშისტურ გერმანიაშიც და საბჭოთა კავშირშიც გავრცელდა თვითგამოცემების და ხელნაწერების სახით.

წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე. 1948 წელს ლუდვიგ ერჰარდმა ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით გერმანიაში ლიბერალური რეფორმები განახორციელა, რომელსაც ეკონომისტები გერმანულ ეკონომიკურ სასწაულს უწოდებენ. ჰაიეკის მოძღვრება აშშ-ში რონალდ რეიგანის და ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი გახდა. წიგნმა გავლენა იქონია არამარტო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, უდავოა მისი როლი ჯორჯ ორუელის ნაწარმოებზე "1984 წელი".

თავად ჰაიეკი, მოგვიანებით, 1974 იგი წერდა: "მიუხედავად ასეთი მოულოდნელი წარმატებისა, დიდი ხნის განმავლობაში თავს სულ არ ვთვლიდი ბედნიერად ამის გამო. ჩემი თავი უფრო აპოლოგეტად ვიგრძენი და ოცი წელი არც გადამიკითხავს. აღშფოთებული ვიყავი, რომ ამ კამფლეტით უფრო ცნობილი გავხდი, ვიდრე ჩემი სამეცნიერო ნაშრომებით" (Hayek. 1983).

წიგნს დადებითად გამოეხმაურნენ ისეთი მეცნიერები და მოაზროვნეები, როგორებიცაა: ჯ. კეინსი, ი. შუმპეტერი, კ. იასპერსი, კ. პოპერი, მ. პოლანი, ლ. ფონ მიზესი, ბ. რასელი, ჯ. ორუელი.

არის წიგნები, რომელთა მნიშვნელობას აღიარებენ ისინიც, რომელნიც არ იზიარებენ ავტორის თვალსაზრისს. კლასიკური ლიბერალური მსოფლმხედველობის ისეთმა მოწინააღმდეგემაც კი როგორც ჯონ მეინარდ კეიზია, მაღალი შეფასება მისცა ჰაიეკის ნაშრომს. 1944 წელს კეინსმა ჰაიეკის ახლადგამოსულ წიგნს ასეთი სიტყვები წააწერა: "ჩემი აზრით, ეს ბრწყინვალე წიგნია, და ყველა ჩვენთაგანს გააჩნია საფუძველი, გამოვხატოთ უდიდესი პატივისცემა თქვენდამი, რადგან თქვენ ძალიან კარგად გამოთქვით ის, რაც აუცილებელია რომ ითქვას... მე მორალურად და ფილოსოფიური თვალსაზრისით გეთანხმებით თქვენ, არსებითად, ყველაფრით; და რა მხოლოდ გეთანხმებით, არამედ ღრმად გეთანხმებით" (Hazlett T. W. 1992).

ჯორჯ ორუელი წიგნს გამოეხმაურა როგორც მოწონებით, ასევე კრიტიკით. მისი თქმით: "ჰაიეკის ნაშრომის ნეგატიურ ნაწილში სიმართლის დიდი წილია... კოლექტივიზმი არსებითად არ არის დემოკრატიული, თუმცა, ტირანულ უმცირესობებსაც შეიძლება ისეთი უფლებამოსილებები მიეცეთ, რაც ესპანელ ინკვიზიტორებსაც კი არასოდეს უოცნებიათ... ამასთან, "თავისუფალი" კონკურენციის დაბრუნება ნიშნავს ხალხის დიდი მასის უფრო უარეს ტირანიას, რადგან იგი უფრო უპასუხისმგებლოა, ვიდრე სახელმწიფო" (Orwell. 2000).

ნაწარმოებს უარყოფითად შეხვდნენ კეინსიანელები, აკადემიური ისტებლიშმენტი, პროგრესული ლიბერალები, ი. ბერლინი, საბჭოთა ეკონომისტები.

ერთ-ერთმა კეინსიანელმა იგი შეადარა "ერთ იმ დინოზავრს, რომელიც წინააღმდეგ ბუნებრივი შერჩევისა ზოგჯერ შემთხვევით თუ გამოჩნდება დღის სინათლეზე" (Hayek.. 1976). ამერიკული და ინგლისური აკადემიური წრეები იმ პერიოდში გატაცებული იყვნენ საბჭოთა ქვეყნის ახალი ადამიანის იდეებით. იდეალისტები საბჭოთა კავშირს უყურებდნენ, როგორც ქვეყანას, სადაც იბადება ახალი ცივილიზაცია. მათ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის, უმუშევრობის ზრდის შედეგად განპირობებულმა იმედგაცრუებამ. მათ არ ჰქონდათ სწორი ინფორმაცია თუ რა

ხდებოდა რკინის ფარდის აქეთ და ახდენდნ საბჭოთა სისტემის იდეალიზებას. კეინსიანელობა გარკვეულწილად წარმოადგენდა ამ იდეების გამოხატვას. თავად კეინსი საბჭოთა კავშირში სტუმრობისას დადებითად გამოეხმაურა საბჭოთა დაგეგმვის გამოცდილებას (Keynes. 1982).

საბჭოთა ეკონომისტი ა. რუმინანცევი წერდა: “ჰაიეკი - სოციალიზმის და დემოკრატიის მოძულე მტერია. მის ნააზრევს დაგეგმვის შესახებ არ აქვს არანაირი სამეცნიერო საფუძვლები და ცილისწამების ხასიათს ატარებს”.

წიგნის შექმნაზე გავლენა იქონია 1922 წელს გამოსულმა ლუდვიგ ფონ მიზესის წიგნმა “სოციალიზმი”. ჰაიეკი წერდა: ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ “სამყარო არასოდეს ყოფილა ისეთი, როგორც უწინ” (Hayek. 1983). მიზესმა ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში დაასაბუთა, რომ ნებისმიერი სოციალისტური ეკონომიკური მოდელი განუხორციელებელია, რადგან იგი არ ეყრდნობა საბაზრო პრინციპებს.

“გზა ბატონყმობისაკენ” გამოქვეყნდა 1944 წელს. წიგნის სათაური “გზა ბატონყმობისაკენ” შთაგონებულია ა. ტოკვილის სიტყვიდან “ახალი ბატონყმობა”. იგი მოიცავს წინასიტყვაობას, შესავალს და 16 თავს.

“გზა ბატონყმობისაკენ” იყო ჰაიეკის პასუხი მეორე მსოფლიო ომზე და ტოტალიტარული აგრესიული დიქტატურის ზრდაზე. 1943 წლის დეკემბერში დათარიღებულ წიგნის წინასიტყვაობაში, ჰაიეკი აღნიშნავდა, რომ ეს იყო “პოლიტიკური წიგნი” და მისი მოვალეობა იყო დაეწერა იგი (Hayek 2001).

### **ლიბერალიზმი**

წარმოვიდგინოთ ინგლისი, 1944 წელი. ომი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ცხადია, ომის დროს, როდესაც სახელმწიფო იძულებულია თავის თავზე აიღოს ბევრი სამეურნეო ფუნქციები, ცენტრალური დაგეგმვის იდეის პოპულარობა იზრდება. ფაქტიურად: თუ სახელმწიფოს შეუძლია წარმატებულად გაართვას თავი სამხედრო მიზნებს, მაშინ რატომ არ უნდა მივცეთ მას კიდევ უფრო მეტი უფლებამოსილება მშვიდობიანი პერიოდის პრობლემების გადასაწყვეტად?

სწორედ ასეთი მოვლენების განვითარებას ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა ჰაიეკი ამ ნაწარმოების მეშვეობით. ჰაიეკი პირველ რიგში მიმართავს ინგლისელებს, და აფრთხილებს იმ საფრთხეების შესახებ, რასაც წარმოადგენს იმ დროს მოდური სოციალისტური იდეები, რომლებიც გერმანიიდან შემოვიდა. იგი მოუწოდებს საზოგადოების განვითარების გზის არჩევისას მიმართონ თავიანთი ისტორიულად არსებული ბრიტანულ ტრადიციულ ფასეულობებს და იდეალებს:

- თავისუფალი არჩევანი
- პერსონალური პასუხისმგებლობა;
- საკუთარი აზრის დაცვის მზადყოფნა უმრავლესობის წინაშე;
- განსხვავებული ადამიანების მიმართ ტოლერანტობა;
- საკუთარი ცივილიზაციის ტრადიციული ფასეულობების მიმართ პატივისცემა;
- ხელისუფალთა მიმართ ჯანსაღი კრიტიკა.

ეს იდეალები დასავლური ცივილიზაციის უმთავრესი ღირებულებებია. ჰაიეკი თვლის, რომ თანამედროვე სოციალისტური ტენდენციები არის დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტურ ღირებულებებთან განშორება. ინდივიდუალიზმი დასავლური ცივილიზაციის ღირებულებაა, რომელიც სათავეს იღებს ანტიკურობიდან და ქრისტიანობიდან, სრული გამოხატულება პირველად მიიღო რენესანსის პერიოდში და დასაწყისი მისცა დასავლურ ცივილიზაციას. ტყუილბრალოდ კი არ უწოდა ნაციზმის ლიდერმა ნაციონალ-სოციალიზმის რევოლუციას კონტრრენესანსი, რაც წარმოადგენდა აღორძინების ხანის, უმთავრესად ინდივიდუალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ცივილიზაციის განადგურების გზას.

ჩრდილოეთ იტალიის სავაჭრო ქალაქებში ჩასახული ახალი მსოფლმხედველობა შემდეგ გავრცელდა დასავლეთისა და ჩრდილოეთის სავაჭრო გზებით საფრანგეთში, ნიდერლანდებში, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში, ბრიტანეთში. იგი მიმართული



იყო ფეოდალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, ადამიანების გასათავისუფლებლად ფეოდალური მარწუხებიდან. სამეწარმეო თავისუფლებამ ხელი შეუწყო ახალი ცოდნის თავისუფლად გამოყენებას, მეცნიერების ამაღლებას, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა სამყაროს იერსახე. „მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის, მშრომელმა ადამიანმა მატერიალური კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის ისეთ დონეს მიაღწია, რომ 100 წლის წინ ამის წარმოდგენაც კი ძნელი იყო“.

ლიბერალიზმი არ არის დოგმატური სისტემა. მას არ აქვს საბოლოო, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესები. უმთავრესი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს ორგანიზებისას, ადამიანი მაქსიმალურად უნდა დაეყრდნოს სპონტანურ ანუ ბუნებით ძალებს და რაც შეიძლება ნაკლებად მიმართოს იძულებას. ინდივიდთა სპონტანური და უკონტროლო ძალისხმევა არის ეკონომიკური საქმიანობის რთული სისტემის ფუნდამენტი.

ჰაიეკი განასხვავებს "წესრიგის" ორ ძირითად ტიპს. "გაცნობიერებული, ანუ გონებითი წესრიგი" და "სპონტანური, ანუ ბუნებითი წესრიგი". "გაცნობიერებული, ანუ გონებითი წესრიგი" იქმნება ადამიანის გონებიდან. შესაძლებელია ეს იყოს ერთი, ცალკეული ადამიანის გონება, ან ადამიანთა ჯგუფის ნააზრევი, ანუ არა ჩემი, არამედ ვიღაც სხვისი იდეა. ასეთი წესრიგი მყარდება ამ სხვისი იდეის მიხედვით და ფუნქციონირებს ამ სხვათა წინასწარ შემუშავებული გეგმების მიხედვით. ასეთი გეგმების განხორციელება საჭიროებს ერთ საერთო ცენტრს, რომელიც აკონტროლებს მთელი დანარჩენი საზოგადოების წესრიგს. მისი კოორდინაციისათვის საჭიროა გარკვეული საერთო მიზნისადმი დამორჩილება, ანუ მოითხოვს ვერტიკალს, იერარქიას და ეფუძნება ზემოდან კონკრეტულ ბრძანებებს, მითითებებს.

"გაცნობიერებული, ანუ გონებითი წესრიგისაგან" განსხვავებით "სპონტანური წესრიგი" ვითარდება ევოლუციური პროცესის შედეგად. ისინი არ ეფუძნებიან ვინმე სხვის იდეას და არ კონტროლდება ერთი საერთო ცენტრიდან, მისი

კოორდინაციისათვის არ არის საჭირო გარკვეული საერთო მიზნისადმი დამორჩილება. "სპონტანური წესრიგი" ეფუძნება ქცევის უნივერსალური წესების დაცვას. ჰაიეკის სიტყვებით, "თვითგენერირებადი, ანუ სპონტანური წესრიგი ყალიბდება იმ განსხვავებული პიროვნებებისა და ჯგუფების ქმედებების შედეგად, რომელთაგანაც თითოეული საკუთარი ცოდნის საფუძველზე ესწრაფვის საკუთარ მიზნებს".

მაგალითად, შეგნებულად მართვად სისტემას განეკუთვნება ჯარი, სამთავრობო უწყებები, ხოლო თვითორგანიზებად თვითრეგულირებად სტრუქტურებს – ენა, სამართალი, მორალი და ბაზარი. ენა, სამართალი, მორალი და ბაზარი წარმოადგენს ადამიანის ქმედების პროდუქტს და არა ადამიანის გონების პროდუქტს.

სპონტანური წესრიგის მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე თანამედროვე ცივილიზაცია. მისი უნიკალური ხასიათის გამოსახატავად ჰაიეკი იყენებდა ტერმინს "დიდი საზოგადოება" (ადამ სმითი) და "ღია საზოგადოება" (კარლ პოპერი). თავის ბოლო წიგნში, მას მოჰყავს ახალი ტერმინი – "ადამიანთა თანამშრომლობის გაფართოებული წესრიგი", თანამშრომლობის და არა მორჩილების, დაქვემდებარების, ერთის აზრის სხვებზე იმულებით მოხვევის.

სპონტანური წესრიგის ბირთვს შეადგენენ სოციალური ინსტიტუტები (და არა ერთი ცენტრალური ინსტიტუტი), კერძო საკუთრება და კერძო მეწარმეობა (და არა კოლექტიური მეწარმეობა), პოლიტიკური და ინტელექტუალური თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. სოციალური ინსტიტუტები კაცობრიობამ ევოლუციური პროცესების, ადამიანური ქმედებების შედეგად სპონტანურად შექმნა, ყოველგვარი წინასწარი გეგმის გარეშე. მორალური კანონები და ტრადიციები, რომლებიც საფუძვლად უდევს გაფართოებულ წესრიგს, არ არის ადამიანის ქცევის არც გაცნობიერებული, და არც ინსტიტუტური ფორმები. ჰაიეკის თქმით, იგი ინსტინქტსა და გონებას შორის მდებარეობს.

გაფართოებული წესრიგის ძირითადი პრობლემა არის განვითარებული შრომის დანაწილების საზოგადოებაში უამრავ ადამიანებს შორის ცოდნის კოორდინაციის პრობლემა. ეკონომიკურ პროცესებში განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის პიროვნულ, ნაგულისხმევ, გაუმჟღავნებელ ცოდნას, ადგილობრივი პირობებისა და განსაკუთრებული გარემოებების შესახებ სპეციფიკურ ინფორმაციას. ასეთი ცოდნა, ვლინდება სხვადასხვა კონკრეტულ უნარ-ჩვევებში, რომელსაც მისი მფლობელი იყენებს, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი.

ჰაიეკის მიხედვით ბაზარი წარმოადგენს განსაკუთრებულ ინფორმაციულ მოწყობილობას, საზოგადოებაში გაბნეული ცოდნის გამოვლინების, გაზიარების და ურთიერთშეთანხმების მექანიზმს. პირველ რიგში, ბაზარი უზრუნველყოფს, მათ უკეთეს კოორდინაციას და, მეორე მხრივ, მათ უფრო სრულყოფილ გამოყენებას. ამაშია დეცენტრალიზებული საბაზრო სისტემის გადამწყვეტი ეპისტემოლოგიური უპირატესობა ცენტრალიზებულ დაგეგმილ მმართველობასთან შედარებით.

რაც უფრო რთულია საზოგადოება, ცენტრალური დამგეგმავისათვის მით უფრო ძნელია ფლობდეს საჭირო ცოდნას ამავე საზოგადოების ყოველი ეკონომიკური აქტივობის საკოორდინაციოდ. შრომის დანაწილების სისტემაში ადამიანის ცოდნაც დანაწილებულია. საზოგადოების ყოველი წევრი ფლობს მსოფლიო საერთო ცოდნის მცირე ნაწილს. თითოეული ამ ცოდნის წარმატებით კოორდინაცია შესაძლებელია მხოლოდ საბაზრო კონკურენციის გამოყენებით.

ამ პროცესში უდიდესი როლი ენიჭება ფასის მექანიზმს. კონკურენტული ბაზარი ფასის მექანიზმის მეშვეობით მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილების შესახებ აუცილებელ ინფორმაციას გადასცემს ბაზრის ყოველ ნაწილს. ფასები გამოდიან როგორც ინფორმაციის მატარებლები. მათ საფუძველზე საბაზრო აგენტები წყვეტენ, მათთვის საინტერესო რესურსებიდან რომელია მათთვის ხელმისაწვდომი და აქედან გამომდინარე, სად უფრო მიმართონ ძალისხმევა, რომ მიაღწიონ უკეთეს შედეგებს. ამით, საბაზრო კონკურენცია წარმოადგენს მილიონობით ინდივიდუალურ პირებს

შორის გაბნეული გამოუმჯდავნებელი პირადი ცოდნის გამოვლენის, კოორდინირების და გამოყენების პროცედურას.

ბაზარს შეუძლია ინფორმაციის მოცულობის ინტეგრირება და გადამუშავება, რაც ვერ ძალუძს ცენტრალურ დაგეგმვას. აქ საქმე ეხება არამარტო არასაკმარის ტექნიკურ შესაძლებლობებს (მაგ. კომპიუტერული სიმძლავრე ნაკლებობა და ა.შ.). ცენტრალური დაგეგმვა ეჯახება გადაულახავ ეპისტემოლოგიურ ბარიერებს. სოციალისტური ეკონომიკის იდეა ეფუძნება იდეას, რომ შესაძლებელია შეაგროვო საზოგადოებაში არსებული ყველა ცოდნა, გააერთიანო ერთად, ხოლო კომპეტენტური ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებებს და ამ ბრძანებებს და მითითებებს ადგილებზე უშვებენ. ჰაიეკის მიერ სოციალისტური ცენტრალური დაგეგმარების კრიტიკა მიმართულია ასეთი სოციალური ინჟინერიის წინააღმდეგ.

ჰაიეკის აზრით ცენტრალურ დამგეგმავებს და სოციალურ ინჟინრებს აქვთ "ცოდნის პრეტენზია". პირველი ბარიერი, რასაც ისინი აწყდებიან – დროის ფაქტორია. სანამ აგენტი გააგზავნის ინფორმაციას ცენტრში, იქ აწარმოებენ აღრიცხვას და აცნობებენ მიღებულ გადაწყვეტილებებს, პირობები შეიძლება მთლიანად შეიცვალოს და ინფორმაცია გაუფასურდეს. ჰაიეკმა ერთ-ერთმა პირველმა გაიაზრა, რომ ეკონომიკა – ეს არის მეცნიერება არა რესურსების, არამედ ინფორმაციის შესახებ, ანუ უმთავრესია პროცესებისა და რეაქციის სიჩქარის გაგება.

ხშირად არ აცნობიერებენ, რომ მუდმივად ცვალებად პირობებთან მუდმივი შეგუება აუცილებელია არამარტო ზრდისათვის, განვითარებისათვის, არამედ უკვე მიღწეულის შესანარჩუნებლად. ცენტრალურ დაგეგმვას ორგანულად არ შეუძლია დაეწიოს უწყვეტად მიმდინარე ცვლილებებს, შედეგად საზოგადოება ვარდება შენელებული ეკონომიკური ზრდის რელსებზე, შესაბამისად მისი კეთილდღეობა მცირდება. გარდა ამისა, ცენტრალიზებული სისტემის პირობებში აგენტი ჩვეულებრივ არ არის დაინტერესებული ზემდგომ ორგანოებს მიაწოდოს სრული და ზუსტი მონაცემები. უფრო მეტიც, ასეთი სისტემა არ იძლევა საკმარის სტიმულებს

არსებული ან ახალი ინფორმაციის გენერირებისათვის (ამითაა განპირობებული საბედისწერო მარცხი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესში).

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ძირითად ნაწილს შეადგენს გამოუმუქლავნებელი, პირადი ცოდნა, რომლებიც პრინციპში ვერბალიზაციას არ ექვემდებარებიან. მათ ვერ გამოთქვამ ფორმულებისა და ციფრების ენაზე, და ამიტომაც ვერ გადაეცემა ცენტრს. უფრო მეტიც: თავიანთი ცოდნის და შესაძლებლობების გარკვეულ ნაწილს ადამიანი არ აცნობიერებენ და მათ არსებობას წარმოადგენენ ისეთ გარემოში რომელიც მათთვის უცნობია. ცენტრალური დაგეგმვის სისტემაში ინფორმაციის უზარმაზარი მასა არასაჭიროდ გადაიქცევა, ხოლო შემომავალი ინფორმაციის კოორდინაცია – უკიდურესად არაეფექტური.

ამრიგად, ჰაიეკის აზრით, ადამიანის თავისუფლებების საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლება, რომლის განადგურებით ინგრევა ცივილიზაციის მთელი შენობა. ლიბერალიზმისათვის თავისუფლება – მიზანი და უმაღლესი ღირებულებაა, დემოკრატია – კი მისი მიღწევის საშუალებაა. დემოკრატია ლიბერალიზმის ბუნებრივი თანამგზავრი და უმთავრესი ელემენტია. დემოკრატიული სისტემა ხასიათდება პოლიტიკური ძალებისა და იდეების თავისუფალი კონკურენციით, და ეფუძნება ეკონომიკის სფეროში თავისუფალი კონკურენციის პრინციპებს.

თუმცა ჰაიეკი იქვე აღნიშნავს, რომ ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, სადაც ძალაუფლება, რომელიც მოპოვებულ იქნა არა ხალხის ნების შედეგად (მაგალითად, მოსახლეობის უმცირესობისთვის საარჩევნო უფლებების არსებობით), ექვემდებარებოდა კანონის უზენაესობას და შეზღუდული იყო მკაცრი კონსტიტუციური ჩარჩოებით. და, პირიქით, შეუზღუდავმა დემოკრატამ შეიძლება მიიღოს ტოტალიტარული ფორმა (მაგალითად – ჰიტლერის მოსვლა ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით).

### **უარყოფილი გზა**

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან ლიბერალიზმის პოზიციები მკვეთრად შესუსტდა, შემცირდა ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპებისადმი ნდობა. ამას მრავალი მიზეზი გააჩნდა. ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ თავისუფალი საზოგადოების ინსტიტუციური სრულყოფის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა. ამას თან დაერთო ის გარემოება რომ 1870-იანი წლებიდან ინგლისმა შეწყვიტა ევროპის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ინტელექტუალური ლიდერობა. მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში ინტელექტუალური ცენტრი, საიდანაც როგორც აღმოსავლეთით ასევე დასავლეთით ვრცელდებოდა იდეები, გახდა გერმანია. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ ისეთი გერმანელი ფილოსოფოსები, როგორცაა: ჰეგელი, მარქსი, ზომბარტი. ლიბერალიზმი ყველაზე სრულად გერმანიაში უარყვეს. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის დროისათვის ლიბერალიზმი გერმანიაში უკვე მკვდარი იყო. იგი გაანადგურა სოციალიზმმა.

სოციალიზმის იდეა გერმანიაში არ წარმოშობილა. თუმცა სწორედ გერმანიაში მიაღწია თავის ყველაზე სრულყოფილ განვითარებას მე-19 ს-ის ბოლო მეოთხედში და მე-20 ს-ის პირველ მეოთხედში. ამ პერიოდში გერმანია გახდა ლიდერი სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. მანამ სანამ ინგლისში სერიოზულად დაიწყებდნენ სოციალიზმის განხილვას, გერმანიის პარლამენტში უკვე ჩამოყალიბდა მსხვილი სოციალისტური ფრაქცია.

ამ პერიოდში გერმანიამ მიაღწია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს. გერმანულმა ფილოსოფიისა და სამეცნიერო სკოლამ მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და იგი ისევ გახდა ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი წამყვანი წევრი. გერმანიაში, ნაციზმამდე საკმაოდ ადრე, ზოგადევროპულ ტრადიციებს უწოდებდნენ „დასავლურს“, რაც ნიშნავდა „რეინის დასავლეთით“. დასავლურს განეკუთვნებოდა ლიბერალიზმი და დემოკრატია, კაპიტალიზმი და

ინდივიდუალიზმი, ვაჭრობის თავისუფლება. დასავლეთის ხალხებმა დაიწყეს გერმანული იდეების იმპორტი. მათ ჩათვალეს რომ მათი წინანდელი ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი გამოგონებულ იქნა ბრიტანეთის იმპერიის პოზიციების გასამყარებლად და რომ ამერიკული და ინგლისური იდეალები მოძველდნენ.

ჰაიეკი აღნიშნავს, რომ "როდესაც ცივილიზაცია თავისი განვითარების გზაზე აკეთებს მოულოდნელ შემობრუნებას, როდესაც ნაცვლად სავარაუდო პროგრესისა უცებ აღმოვაჩინოთ, რომ ყველა მხრიდან საფრთხეები გვემუქრება, რაც თითქოს გვაბრუნებს ბარბაროსულ ეპოქაში, ჩვენ მზად ვართ დავადანაშაულოთ ყველა, გარდა საკუთარი თავისა"

XX ს-ის 20-იანი და 30-იანი წლები ის პერიოდია, როდესაც ადამიანები მზად იყვნენ მიეღოთ ნებისმიერი იდეა, იქნებოდა ეს სოციალისტური, ნაციონალ-სოციალისტური, კომუნისტური, ანარქიული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დასავლური ლიბერალიზმი. ისტორიის მანძილზე არ ყოფილა სხვა ისეთი პერიოდი, როდესაც ადამიანები ასე გაერთიანებულიყვნენ ლიბერალიზმის წინააღმდეგ, როგორც XX ს-ის 20-იანი და 30-იანი წლებში. ჰიტლერი მესამე რეიხის იდეებს ქრისტიანობის იდეალების განსახიერებად მიიჩნევდა, ხოლო დასავლური ლიბერალიზმის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. ინდივიდუალიზმი და კაპიტალიზმი მისთვის პრინციპულად მიუღებელს წარმოადგენდა. გერმანული რელიგიური სოციალიზმის ერთ-ერთი ლიდერი ედუარდ ჰეიმანი წერდა, რომ ჰიტლერიზმი სოციალისტური მოძღვრებაა. იგი არასოდეს ყოფილა ლიბერალიზმი მომხრე. ჰიტლერს ყველაზე მეტად სძულდა ლიბერალიზმი.

### *ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი*

ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ფუნდამენტალურ პრინციპებს შორის წინააღმდეგობაა. კოლექტივიზმი უარყოფს ეკონომიკურ თავისუფლებას. ლიბერალიზმის მიხედვით, პიროვნული თავისუფლება ეკონომიკური

თავისუფლების გარეშე არ არსებობს. თუმცა, ეკონომიკური თავისუფლება არ შეიძლება იყოს ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემისაგან თავისუფლება. ეკონომიკური თავისუფლება არის ნებისმიერი საქმიანობის თავისუფლება, რომელიც მოიცავს არჩევანის უფლებას და მასთან დაკავშირებულ რისკს და პასუხისმგებლობას. სოციალისტები ადამიანებს ჰპირდებიან ეკონომიკური პრობლემისაგან თავისუფლებას, ამასთან ართმევენ არჩევანის თავისუფლებას.

ლიბერალიზმსა და კოლექტივიზმს ფუნდამენტურად განსხვავებული ხედვები აქვს საზოგადოებაზე და მისი განვითარების ბუნებაზე. ლიბერალიზმის მიხედვით, შეუძლებელია საზოგადოების განვითარების დაგეგმვა. კოლექტივიზმის მიხედვით, ყოვლისშემძლე მეცნიერებას შეუძლია გადაწყვიტოს ნებისმიერი სოციალური პრობლემა. იგი საზოგადოების "გეგმიური სამეცნიერო" ორგანიზაციაა და საფუძვლად უდევს "გონივრულად შერჩეული მიზნები". სოციალისტების აზრით, ლიბერალურ საზოგადოებრივ სისტემაში საზოგადოებრივი წარმოებას არ აქვს "შეგნებულად" არჩეული ერთიანი მიზანი და ექვემდებარება უპასუხისმგებლო პირების ახირებებს და განწყობებს.

კომუნიზმი და ფაშიზმი კოლექტივიზმის სხვადასხვა სახეებია და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ საერთო მიზნის ბუნებით, მაგრამ ერთმანეთს ემსგავსებიან იმაში, რომ მიისწრაფვიან განახორციელონ საზოგადოების და მისი ყველა რესურსის ორგანიზება ერთი საბოლოო მიზნის გარშემო და საზოგადოების ყველა ძალისხმევა მისკენ არის მიმართული.

ლიბერალიზმის ფუნდამენტური პრინციპია სამყაროს განვითარების მრავალვარიანტულობა, არჩევანის თავისუფლება. პროგრესი დამოკიდებულია მრავალფეროვნებაზე და არჩევანის თავისუფლებაზე, რადგან არავინ არ იცის, განვითარების რომელი ხაზი შეიძლება იყოს პერსპექტიული.

კოლექტივიზმი საზოგადოებას და სახელმწიფოს უფრო მაღლა აყენებს ვიდრე ინდივიდს. საზოგადოებას ან სახელმწიფოს აქვს საკუთარი მიზნები, რომლებიც



შესაძლოა განსხვავდებოდეს ინდივიდუალური მიზნებისაგან. ამ შემთხვევაში ნამდვილ მოქალაქეებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისინი, რომელთა მიზნები ემთხვევა საზოგადოების მიზნებს. კოლექტივიზმის მსოფლმხედველობით ადამიანს შეიძლება პატივი სცე მხოლოდ იმდენად, რითაც იგი ხელს უწყობს საერთო მიზნების მიღწევას. ამით, და არა იმიტომ, რომ იგი ადამიანია, განისაზღვრება მისი ადამიანური ღირსება კოლექტივიზმში.

### **ნაციონალ-სოციალიზმის სოციალისტური ფესვები**

“გზა ბატონყმობისაკენ” ჩაფიქრებული იყო როგორც გაფრთხილება სოციალისტური იდეის მხარდამჭერთა მიმართ. ყველაზე შოკის მომგვრელი იყო ბოლშევიზმისა და სოციალიზმის მსგავსება ფაშიზმთან, ნაციონალ-სოციალიზმთან. თუმცა, ძალიან მალე ასეთ მსგავსებებს მიმართავდნენ დასავლურ ლიტერატურაში.

ერთი შეხედვით ფაშისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი სრულიად განსხვავებული სახელმწიფოებია განსხვავებული იდეოლოგიებით. მაგრამ მათთვის საერთოა, ის რომ საერთო მიზნების მისაღწევად მსხვერპლად შესწიროს ინდივიდუალური მიზნები, ანუ, სახელმწიფოა ყველაფერი, ადამიანი კი არაფერი. ადამიანმა ყველაფერი უნდა მიიტანოს სოციალისტური იდეალების სამსხვერპლოზე.

ჰაიეკი აღნიშნავს: “მთავარი უბედურება იმის არდანახვაა, რომ გერმანიაში ნაცისტურ ძალებს მეტწილად სოციალისტური მრწამსით აღტკინებული ადამიანების კეთილგანწყობამ გაუხსნა გზა... ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ ფაშიზმისა და მარქსიზმის აღზევება, სოციალისტური ტენდენციების საწინააღმდეგოდ მიმართული უკუქმედება კი არა, მათი გარდაუვალი შედეგი იყო. ამ მოძრაობის ლიდერების დიდმა ნაწილმა, იტალიელი მუსოლინიდან მოყოლებული (ფრანგი ლავალისა და ბრიტანელი ქვისლინგის ჩათვლით), მოღვაწეობა დაიწყო, როგორც სოციალისტებმა და დაამთავრეს, როგორც ფაშისტებმა ან ნაცისტებმა”.

ჰაიეკი არასწორად მიიჩნევს შეხედულებას, რომ ნაციონალ-სოციალიზმი მხოლოდ ირაციონალური მოძრაობაა, რომელსაც არ გააჩნია ინტელექტუალური

ფესვები (Hayek. 2001. 171). ფაქტია, ნაციონალ-სოციალიზმის დოქტრინას საფუძვლად დაედო ისეთ მოღვაწეთა მსოფლმხედველობა, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ევროპული აზროვნების განვითარებაში. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: ტომას კარლეილი, ჰიუსტონ ჩემბერლენი, ოგიუსტ კონტი, ჟორჟ სორელი, ჟორჟ ფიხტე, ლასალი, ვერნერ ზომბარტი. მათ იდეებმა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოიპოვა გერმანელთა უმრავლესობის მხარდაჭერა და ფაქტიურად დაიპყრო ახალგაზრდების გონება. ამის მიზეზი არ არის მხოლოდ ომში დამარცხება და ომისშემდგომი ცხოვრების სირთულეები, ან ამის შემდგომ ნაციონალიზმის ზრდა (Hayek. 2001. 171). ნაციონალ-სოციალისტების მოსვლას ხელისუფლებაში ხელი შეუწყო სოციალისტების მხრიდან მხარდაჭერამ. „ბურჟუაზიის დახმარებით კი არ მიიღეს მათ ძალაუფლება, არამედ სწორედ მყარი ბურჟუაზიის არარსებობის შედეგად“ (Hayek. 2001. 171).

გერმანიაში სოციალიზმი თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაციონალიზმთან. გერმანელმა ეკონომისტმა ვერნერ ზომბარტმა (1863-1941) მოღვაწეობა დაიწყო როგორც სოციალისტ-მარქსისტმა და ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა მარქსის იდეებისათვის ბრძოლას. 1915 წელს გამოსულ თავის წიგნში "ვაჭრები და გმირები" ზომბარტი მიესალმება "გერმანიის ომს", რომელიც მისი აზრით წარმოადგენს ინგლისური ცივილიზაციის კომერციულ სულსა და გერმანულ გმირულ კულტურას შორის კონფლიქტის გარდაუვალ გამოხატულებას (Sombart W. 1915). ზომბარტის სიტყვებით: "გერმანიის კულტურა არის გმირული, და არა კომერციული სულისკვეთების" (Sombart W. 1915). ზომბარტის აზრით, არაფერია უფრო "დამამცირებელი, ვიდრე კომერციალიზაციის სულით წარმოშობილი ინდივიდუალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა", რაც ინგლისური მორალის მთავარი პრინციპია (Sombart W. 1915).

ზომბარტი განასხვავებს სახელმწიფოებრიობის მიმართ ინგლისურ და გერმანულ მიდგომას. "სახელმწიფოებრიობის გერმანული იდეის მიხედვით სახელმწიფო არ ეფუძნება ინდივიდებს, არ წარმოადგენს ინდივიდების

გაერთიანებას და მისი მიზანი საერთოდ არ არის პიროვნების ინტერესებისათვის ზრუნვა“ (Sombart W. 1915). იგი არის Volksgemeinschaft - "ეროვნული საზოგადოება", რომელშიც პიროვნებას არ აქვს უფლებები, მაგრამ აქვს მხოლოდ ვალდებულებები, ხოლო პიროვნების ნებისმიერი პრეტენზია - მხოლოდ გამოვლინებაა ვაჭრული სულისკვეთების" (Sombart W. 1915). ზომბარტის მიხედვით, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის იდეები - თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა - ვაჭრული იდეალება, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი გააჩნიათ - უპირატესობა მიანიჭონ კერძო პირებს (Sombart W. 1915).

ზომბარტი გერმანელებს "მეომარ ერს" უწოდებს და აცხადებს, რომ "არის უფრო მაღალი ცხოვრება, ვიდრე პიროვნების ცხოვრება და ეს არის ერის და სახელმწიფოს ცხოვრება. ინდივიდის მიზანი კი არის მსხვერპლად შესწიროს საკუთარი სოცოცხლე ამ უმაღლეს ღირებულებებს" (Sombart W. 1915).

გერმანელი სოციოლოგი იოჰან პლენგე (1874 - 1963) თავის წიგნში "1789 და 1914" წერდა, რომ "ომის აუცილებლობა მოითხოვდა სოციალისტური იდეების გამოყენებას გერმანიის ეკონომიკურ ცხოვრებაში... ჩვენმა ერმა კაცობრიობას მისცა 1914 წლის იდეა, იდეა გერმანული ორგანიზაციისა, სახელმწიფო სოციალიზმის ეროვნული ერთიანობის იდეა" (Plenge Johann. 1916).

პლენგეს აზრით, "ორგანიზაცია სოციალიზმის არსია" (Plenge Johann. 1916). ომის ეკონომიკა, რომელიც გერმანიაში შეიქმნა 1914 წელს, წარმოადგენს "სოციალიზმის მშენებლობის პირველ გამოცდილებას, რადგან მისი სული, მეომრული და არა მომხმარებლური წარმოადგენს ნამდვილ სოციალისტურ სულს... სახელმწიფო და ეკონომიკა წარმოქმნიან სრულიად ახალ ერთობას... ეკონომიკური პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფო მოხელისათვის ახლა მოიცავს კერძო საქმიანობის ყველა სახეს..." (Plenge Johann. 1916). ეს ახალი, ეკონომიკური საქმიანობის ჭეშმარიტად გერმანული

კორპორაციული სისტემა "წარმოადგენს სახელმწიფოს მოღვაწეობის უმაღლეს ფორმას" (Plenge Johann. 1916).

თავდაპირველად, პლენგე ცდილობდა თავისუფლების იდეა და ორგანიზაციის იდეა ერთმანეთთან შეეთავსებინა, სადაც პიროვნება სრულად, თუმცა ნებაყოფლობით დაქვემდებარებოდა საზოგადოებას. 1918 წელს სოციალისტურ ჟურნალ "Die Glocke" გამოქვეყნებულ წერილში იგი მთლიანად ემხრობა სოციალიზმისა და პოლიტიკური ძალადობის ერთიანობის პრინციპს: "დროა ვაღიაროთ, რომ სოციალიზმი უნდა განხორციელდეს ძალის პოზიციებიდან, რადგან იგი ორგანიზაციის ექვივალენტია. სოციალიზმმა უნდა მოიპოვოს ძალაუფლება და არა დაანგრიოს იგი" (Hayek. 1994).

პლენგეს შემდეგ მოჰყავს თეზისი, რომელიც ჰიტლერმა გამოიყენა თავისი იდეის, "ახალი წესრიგის" დასასაბუთებლად: "სოციალიზმის თვალსაზრისით, რომელიც ორგანიზაციის იდენტურია, ერების თვითგამორკვევის უფლება ინდივიდუალისტური ეკონომიკური ანარქიის ტოლფასია. რამდენად გვინდა ჩვენ ინდივიდს მივანიჭოთ ეკონომიკურ ცხოვრებაში სრული თვითგამორკვევის უფლება? თანმიმდევრულ სოციალიზმს შეუძლია ადამიანს მიანიჭოს გაერთიანების უფლება მხოლოდ რეალურ, ისტორიულად დეტერმინირებულ ძალთა გადანაწილებაში" (Hayek. 1994).

პლენგეს იდეები პოპულარული იყო გერმანიის სამეცნიერო წრეებში. ცნობილი გერმანელი ქიმიკოსი, ფილოსოფოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ვილჰელმ ოსტვალდი (1853-1932) წერდა: "გერმანიას სურს ევროპის ორგანიზება, სადაც ამ დრომდე არ არსებობს ორგანიზაცია. გერმანიის უდიდესი საიდუმლო მდგომარეობს იმაში, რომ გერმანელმა ერმა აღმოაჩინა ორგანიზაციის პრინციპის მნიშვნელობა"<sup>1</sup>.

გერმანელი სოციალ-დემოკრატი, მარქსისტი პაულ ლენში (1876-1926) თავის წიგნში "მსოფლიო რევოლუციის სამი წელი" ასკვნის, რომ ინგლისური ინდივიდუალისტური ლიბერალიზმის იდეალები მოძველდა, ხოლო პირველმა

მსოფლიო ომმა დააჩქარა მისი სრული განადგურება (Lensch. 1918). პაულ ლენშის მიხედვით, "სოციალიზმი წარმოადგენს ინდივიდუალიზმის ალტერნატივას... ამიტომ სოციალისტური პარტიების ამოცანაა მხარი დაუჭიროს გერმანიას მის მტრებთან ბრძოლაში, რომ მან შეძლოს მისი ისტორიული მისიის შესრულება და მთელი მსოფლიოს რევოლუციონიზირება" (Lensch. 1918).

პლენგეს და ლენშის იდეებმა გზა გაუხსნეს ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის ისეთ შემქმნელებს, როგორებიცაა: ოსვალდ შპენგლერი (1880-1936) და არტურ მელერ ვან დერ ბრუკი (1876-1925). შპენგლერი თავის ნაშრომში "პრუსიელობა და სოციალიზმი" (Spengler O. 1919), რომელიც გამოქვეყნდა 1919 წელს, გამოხატავს იმ იდეებს, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანელი სოციალისტები. შპენგლერის მტკიცებით, სოციალიზმის პრუსიული ნიშნები მთელ გერმანიაში არსებობდა და მოიცავდა დისციპლინას, კეთილდღეობაზე ზრუნვას, თავგანწირვას (Spengler O. 1919). შპენგლერი სოციალიზმს აღწერდა კლასთა შორის ბრძოლის პერსპექტივის გარეშე: "სოციალიზმის დროს წინააღმდეგობაა არა მდიდარსა და ღარიბს შორის, არამედ წოდებებს შორის, რომელსაც ადამიანი აღწევს თავისი ნიჭის შესაბამისად. ეს არის ჩვენი თავისუფლება ინდივიდუალური ეკონომიკური დესპოტიზმისაგან" (Spengler O. 1919). შპენგლერის მიხედვით გერმანელებმა უნდა მიიღონ და გაითავისონ პრუსიული სოციალიზმი, რომ განთავისუფლდნენ უცხო ქვეყნების ინტრიგებისაგან (Spengler O. 1919).

ოსვალდ შპენგლერი წერდა: "მხოლოდ პრუსიული სოციალიზმით არის შესაძლებელი ინგლისთან წინააღმდეგობის გაწევა, იმ მსოფლმხედველობასთან, რომელმაც სამწუხაროდ მთლიანად მოიცვა გერმანელთა ცხოვრება. მუშათა კლასი უნდა განთავისუფლდეს მარქსის ილუზიებისგან. მარქსი მოკვდა... ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მისწრაფვოდნენ არსებობის სამი ფორმისაკენ, რომელსაც ყველაზე კარგად გამოხატავს სამი ლოზუნგი: თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. პოლიტიკური სისტემის ფორმის მიხედვით ისინი ვლინდება ლიბერალური პარლამენტარიზმის, სოციალური დემოკრატიის და ავტორიტარული სოციალიზმის

სახით. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ანგლო-ფრანგული დემოკრატიის ფორმებისაგან. ჩვენ გვაქვს ჩვენი, საკუთარი გზა" (Spengler O. 1919).

შპენგლერი განასხვავებს ინგლისის კაპიტალისტურ ხასიათს და პრუსიულ სოციალიზმს: "ინგლისური საზოგადოება ეფუძნება მდიდარსა და ღარიბს შორის სხვაობაზე, პრუსიის საზოგადოება კი ბრძანებასა და მორჩილებას შორის სხვაობაზე... დემოკრატია ინგლისში ნიშნავს ყველასათვის შესაძლებლობას გახდეს მდიდარი, პრუსიაში კი - ყველა არსებული წოდების მიღწევის შესაძლებლობას" (Spengler O. 1919). პრუსიაში ყველას აქვს თავისი ადგილი. ადამიანი ან მართავს, ან ექვემდებარება.

შპენგლერის მტკიცებით, ფრიდრიხ ვილჰელმ I პრუსიელი (1688 - 1740), რომელსაც მეტსახელად ჯარისკაცთა მეფეს (გერმ.: Soldatenkönig) უწოდებდნენ, იყო "პირველი შეგნებული სოციალისტი", რომელმაც დაარსა სამხედრო და ბიუროკრატიული დისციპლინის პრუსიული ტრადიცია. ოტო ფონ ბისმარკი პრუსიულ სოციალიზმს მისდევდა სოციალური პოლიტიკის განხორციელების გზით (Spengler O. 1919).

შპენგლერის აზრით, მარქსიზმი ბრიტანული ტრადიციის მიმდევარია. იგი უარყოფს სოციალიზმის ბრიტანულ თვალსაზრისს, რომელიც ეფუძნება კლასობრივ დაპირისპირებას ღარიბებსა და მდიდრებს შორის, რაც არ არის დამახასიათებელი გერმანული სოციალიზმისათვის. შპენგლერის მტკიცებით, მარქსიზმის მთავარ მიზანს შეადგენდა პროლეტარიატის მიერ კაპიტალისტის, როგორც "ექსპროპრიატორის ექსპროპრიაცია", რომელსაც უნდა ეცხოვრა ამ ჩამორთმეული ქონების ხარჯზე (Spengler O. 1919). ამგვარად, შპენგლერის მიხედვით, "მარქსიზმი არის მუშათა კლასის კაპიტალიზმი" და არა ნამდვილი სოციალიზმი (Spengler O. 1919).

მარქსიზმისგან განსხვავებით, შპენგლერის აზრით, გერმანული "ნამდვილი სოციალიზმი" "არ ნიშნავს ქონების ჩამორთმევით ნაციონალიზაციას... რადგან

მთავარია არა ნომინალური მფლობელობის, არამედ ადმინისტრირების ტექნიკის საკითხი... პრუსია წარმოადგენდა ნამდვილ სახელმწიფოს, სადაც იყვნენ არა კერძო პირები, არამედ სისტემის შიგნით მცხოვრები ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ საათის მექანიზმის სიზუსტით და ასრულებდნენ გარკვეულ ფუნქციას. საზოგადოებას მართავდნენ არა კერძო პირები, როგორც ამას მოითხოვს პარლამენტარიზმი, არამედ ეს იყო სახელმწიფო სამსახური, სადაც ყველა პასუხისმგებელი პოლიტიკოსი ექვემდებარება მთლიანს" (Spengler O. 1919). შპენგლერის მიხედვით, "პრუსიის იდეა" გულისხმობს იმას, რომ ყველა უნდა იყოს სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი ოფიციალური პირი, სადაც ნებისმიერ საკუთრებას მართავს მხოლოდ სახელმწიფო. ამიტომ მომავლის სახელმწიფო არის სახელმწიფო მოხელეების სახელმწიფო" (Spengler O. 1919).

ნაციონალ-სოციალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის მელერ ვან დე ბრუკის (1876 - 1925) აზრით, "პირველი მსოფლიო ომი არის ომი რეაქციულ ინგლისურ ლიბერალიზმსა და პროგრესულ გერმანულ სოციალიზმს შორის" (Moeller. 1933). მისთვის, ისევე როგორც შპენგლერისათვის, მიუღებელია ლიბერალიზმი, რომელსაც განიხილავს ნომერ პირველ მტრად. ნაციზმის ცნობილი მიმდევარი, კარლ შმიტი აღნიშნავდა, რომ "საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ზღვარი არ არსებობს"<sup>2</sup>.

გერმანელი სოციალისტები და კონსერვატორები გაერთიანდნენ ლიბერალიზმის წინააღმდეგ და ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ნაციონალ-სოციალიზმის სახით. ჰაიეკის რით, ჯერ კიდევ რეალური ომის დაწყებამდე საზოგადოებამ განიცადა მარცხი ომში, რომელიც მიმდინარეობს აზროვნების და ეკონომიკური ორგანიზაციის სფეროში".

### **დაგეგმვა და ძალაუფლება**

ჰაიეკი აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში უმრავლესობას ისევ სწამს სოციალიზმისა და თავისუფლების შერწყმის შესაძლებლობა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ დემოკრატიული სოციალიზმი, ბოლო რამდენიმე თაობის

უდიდესი უტოპია, არა მარტო განუხორციელებელია, არამედ რომ განხორციელდეს მაშინა, იძლევა ისეთ შედეგს, რომელიც სრულებით განსხვავდება ჩანაფიქრისგან – ემხოზა თავად თავისუფლება.

საკუთარ მიზნებს რომ მიაღწიონ დამგეგმავებს ისეთი ძალაუფლება სჭირდებათ, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ადამიანების ერთი ჯგუფის მიერ სხვებზე უშუალო ბატონობას. ამით, ეკონომიკური საქმიანობის ცენტრალიზებული მართვა მოითხოვს თავისუფლების დათრგუნვას. ამ პროცესს გარკვეულწილად დემოკრატია უშლის ხელს. ამიტომ, დაგეგმვასა და დემოკრატის შორის დაპირისპირება გარდაუვალი ხდება.

სოციალისტებს ილუზია აქვთ, რომ თუკი კერძო პირებს იმ ძალაუფლებას ჩამოართმევენ, რომლითაც ისინი თავისუფალ ბაზარზე სარგებლობენ და მას საზოგადოებას გადასცემენ, ძალაუფლებაც მოისპობა. მაგრამ ძალაუფლების იმგვარი კონცენტრირება, როდესაც მისი გამოყენება მხოლოდ ერთადერთი გეგმის განხორციელებისთვისაა შესაძლებელი, ძალაუფლების უსაზღვროდ გაფართოებას გულისხმობს. მცდარია იმის მტკიცება, რომ ცენტრალური საგეგმო კომიტეტის ძალაუფლება ნაკლებია კერძო სტრუქტურების დირექტორთა საბჭოების ძალაუფლებაზე, რადგან ცენტრალური დაგეგმვის დროს დაბალჩინოსანი ბიუროკრატის ხელში ექცევა სახელისუფლებო იძულების აპარატი, და მხოლოდ მის კეთილგონიერებაზე რჩება დამოკიდებული თუ როგორ იცხოვროს ადამიანი.

ჰაიეკი აღნისნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში თვით ყველაზე ცუდად ანაზღაურებად არაპროფესიონალ მუშას გაცილებით მეტი თავისუფლება აქვს, რომ ცხოვრება თავისი სურვილისამებრ მოიწყოს, ვიდრე ბევრ მეწარმეს ნაცისტურ გერმანიაში ან შედარებით უკეთესი ანაზღაურების მქონე ინჟინერსა და მენეჯერს – რუსეთში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ადამიანს თითქმის არანაირი წინააღმდეგობა არ



გადაელოება, თუკი სურს, რომ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი ან პროფესია, ხმამაღლა გამოთქვას თავისი შეხედულებები.

კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წეს-წყობილება თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიაა. ეს კი ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების საშუალებების გამგებლობა გადანაწილებულია უამრავ დამოუკიდებლად მოქმედ კონკურენტ ადამიანს შორის, რომელთაც შეუძლიათ თვითონვე გადაწყვიტონ, როგორ უნდა მოიქცნენ.

როდესაც წარმოების საშუალებები მხოლოდ ერთ ხელშია მოქცეული, თუნდაც ეს იყოს „საზოგადოება“, როგორც ერთიანი მთლიანობა ან დიქტატორი, ვინც არ უნდა ახორციელებდეს ამ ზედამხედველობას, მას ჩვენზე სრული ძალაუფლება აქვს. ის, რასაც ეკონომიკური ძალაუფლება ეწოდება, შეიძლება ძალდატანების საშუალებაც იყოს კერძო პირების ხელში, მაგრამ ის ადამიანის მთელ ყოფაზე ვერასოდეს გავრცელდება. მაგრამ მაშინ, როცა ეკონომიკური ძალაუფლება ცენტრალიზებულია, იგი მონობისგან ძნელად თუ გამოირჩევა. როგორც ამბობენ, იმ ქვეყანაში, სადაც ერთადერთი დამქირავებელი სახელმწიფოა, ოპოზიციაში ყოფნა შიმშილით სიკვდილს ნიშნავს.

ლიბერალური საბაზრო წესრიგის პირობებში სახელმწიფო ასრულებს არბიტრის როლს, რომელიც თვალყურს ადევნებს თამაშის წესებს. სოციალისტურ წყობაში იგი ხდება თამაშის ერთერთი პირდაპირი მონაწილე და ყველაფერი იმით მთავრდება, რომ სახელმწიფო ერთადერთ “მოთამაშედ” რჩება.

“მორალური თვალსაზრისით, სოციალიზმი ხელყოფს ყველა ეთიკურ ნორმებს, ინდივიდუალურ თავისუფლებას და პასუხისმგებლობას. პოლიტიკური თვალსაზრისით, მას ადრე თუ გვიან მივყავართ ტოტალიტარული მმართველობისკენ. ეკონომიკური თვალსაზრისით, იგი სერიოზულად აფერხებს კეთილდღეობის ზრდას და შესაძლოა სიღარიბეც განაპირობოს”.

### *უდიდესი უტოპია*

იოზეფ შუმპეტერი 1946 წელს წიგნის რეცენზირებისას აღნიშნავდა, რომ "გზა ბატონყმობისაკენ" მამაცი წიგნია, რომლის მთავარი მახასიათებელია გულწრფელობა, ყოველგვარი შენიღბულობისადმი ზიზღი. გარდა ამისა, ეს თავაზიანი წიგნია, სადაც მოწინააღმდეგეს არასოდეს ბრალდება არაფერი, გარდა ინტელექტუალური გაურკვევლობისა" (Shumpeter. 1946).

ჰაიეკს ბევრი მეგობრები ჰყავდა სოციალისტებს შორის. იგი თავად აღნიშნავდა, რომ თუ არა ლიბერალური იდეალებისადმი ერთგულება, არ დაწერდა ამ წიგნს, რადგან არ სურდა იმ ადამიანებთან ურთიერთობების გაფუჭება, რომელთაც იგი პატივს სცემდა. მიუხედავად ამისა, მან გამოაქვეყნა წიგნი, რაც იმ დროისათვის მამაც ნაბიჯს წარმოადგენდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჰაიეკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პოლემიკას, დისკუსიებს, რაც ასე ნაკლებად შეინიშნება თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებაში და რაც არაიშვიათად აისახება ერთმანეთისადმი შეურაცხომეფველი გამოსვლებით. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ჰაიეკი აკადემიურ წრეში გაიზარდა. მისი წინაპრები იყვნენ მათემატიკოსები, ბიოლოგები, ფილოსოფოსები.

ჰაიეკის აზრით, ფასეული იდეების გამოვლენა მხოლოდ ისეთი დისკუსიების დროსაა შესაძლებელი, რომელიც ეფუძვნება რაციონალური აზროვნების იდეას. სწორედ ასეთ დისკუსიას ენიჭება უმთავრესი მნიშვნელობა წიგნში.

სოციალისტებთან დავას ჰაიეკი აწარმოებს მათ ტერიტორიაზე. ჰაიეკი კითხვის ქვეშ არ აყენებს სოციალისტების გულწრფელობას, აღიარებს მათი იდეების სიდიადეს. მაგრამ ამასთან მათ ართმევს შესაძლებლობებს, რათა განახორციელონ მათთვის საყვარელი მანევრები: გამოაცხადონ დებატები ფუჭად რადგან შეუსაბამოა მონაწილეთა ღირებულებები. როგორც ჰაიეკი აღნიშნავს, მისი დავა სოციალისტებთან – ეს დავაა არა ღირებულებებთან, არამედ ფაქტებთან, არა

იდეალებთან, არამედ ამ იდეალების პრაქტიკაში განხორციელებით მიღებულ შედეგებთან. სწორედ დისკუსიაა აუცილებელი იმისთვის რომ გავიგოთ, თუ რამდენად პასუხობს სოციალისტების მიერ არჩეული საშუალებები მათ მიერ დასახულ მიზნებს. ჰაიეკის აზრით, სოციალიზმის მიზნები მიუწვდომელია და მისი პროგრამები განუხორციელებელია როგორც ფაქტიურად ასევე ლოგიკურად”.

წიგნის იდეას ავლენს ჰიუმიდან ეპიგრაფი: “თავისუფლება, რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს იგი, როგორც წესი, იკარგება თანდათანობით”. წიგნის სათაურში „გზა ბატონყმობისაკენ“ მოხსენიებული გზის სახე, შემთხვევითი არ არის: ჰაიეკი გვიჩვენებს, თუ სად მიდის გზა სოციალისტების კეთილი განზრახვებით მოკირწყლული. ამ გზას თუ დაადგები, მერე შეუძლებელია ნახევარგზაზე შეჩერება. იძულებული ხდები ეს გზა ბოლომდე გაიარო, სანამ საზოგადოებას და ცალკეულ პირებს მთლიანად არ შთანთქავს სახელმწიფო და გამეფდება ტოტალიტარული მონობა.

ტოტალიტარიზმი თანდათანობით და შეუმჩნევლად გაიხლოვდება. ღირსეულ ადამიანებს ამაღლებული მისწრაფებები, სანუკვარი იდეალები გააჩნიათ, თუმცა მათ მივყავართ ისეთ შედეგებთან, რაც რადიკალურად განსხვავდება მოსალოდნელისგან – ეს არის წიგნის ლაიტმოტივი. სპონტანური საბაზრო წესრიგის გეგმიური მართვით შეცვლას გარდაუვალად მოჰყვება თავისუფალი საზოგადოების ყველა ღირებულებების – დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, თავისუფალი აზროვნების, ერთმანეთის მიყოლებით მსხვერვის დაწყება, რაც მთელი თანამედროვე კულტურის და ცივილიზაციის დაღუპვის ტოლფასია.

ბევრი მემარცხენე ინტელექტუალი დარწმუნებულია რომ საზოგადოების კეთილდღეობისათვის თავისუფლებაზე მეტად აუცილებელია სოციალიზმის აშენება. გამოდის რომ თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს მსხვერპლს, რომელიც საჭიროა სოციალიზმის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულების მისაღწევად – ხალხის უმრავლესობის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

ჰაიეკი ამტკიცებს, რომ სოციალიზმი ყოველთვის განიხილებოდა თავისუფლების საფრთხედ. იგი წერს: „სოციალიზმი თავიდანვე აშკარად ავტორიტარული იყო... ფრანგი მოაზროვნეები, რომლებმაც დასაბამი მისცეს თანამედროვე სოციალიზმს, თვლიდნენ რომ მათი იდეების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დიქტატურის მეშვეობით... იერარქიულ საფუძველზე საზოგადოების წინასწარ დაგეგმილი რეორგანიზაციის გზით და „სულიერი ძალაუფლების“ იძულებითი დამყარებით.“ თავად სენ-სიმონმა იწინასწარმეტყველა, რომ „ისინი, ვინც „საგეგმო კომიტეტების“ შესახებ მის შეთავაზებულ თეორიას არ დაემორჩილებოდა, პირუტყვად ჩაითვლებოდა“.

სოციალიზმი ეწინააღმდეგება დემოკრატას. ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე დე ტოკვილი 1848 წელს წერდა: „დემოკრატია აფართოებს ინდივიდუალური თავისუფლების სფეროს, დემოკრატია თითოეულ ადამიანს უნარჩუნებს ყველა დამახასიათებელ ღირებულებას, მაშინ როდესაც სოციალიზმი ადამიანს უბრალო ნივთად, მხოლოდ არითმეტიკულ ერთეულად გადააქცევს. დემოკრატას და სოციალიზმს არ აქვთ ერთმანეთთან საერთო, გარდა ერთი სიტყვისა - თანასწორობა. მაგრამ ხაზგასასმელია განსხვავება: დემოკრატია მიისწრაფვის თანასწორობისაკენ თავისუფლებაში, სოციალიზმი თანასწორობას მორჩილებასა და იძულებაში ხედავს (Tocqueville A. 1868)“.

სოციალისტებმა დაიწყეს „ახალი თავისუფლების ქადაგება“. ადრე სიტყვა „თავისუფლება“ ნიშნავდა ძალადობისგან და სხვა ადამიანების ტირანიისაგან თავისუფლებას. სოციალისტების თავისუფლება - ეს არის საჭიროებისაგან, ეკონომიკური პრობლემებისაგან თავისუფლება, რაც მიიღწევა სიმდიდრის გადანაწილებით.

„თავისუფლების დაპირება გახდა სოციალისტური პროპაგანდის ძლიერი იარაღი, რომელმაც ადამიანებს იმედი ჩაუსახა, რომ სოციალიზმი მოიტანდა განთავისუფლებას. სწორედ თავისუფლების დაპირება არ გვამღევეს საშუალებას

დავინახოთ სოციალიზმისა და ლიბერალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს შორის წინააღმდეგობა. სწორედ ამის გამო ლიბერალების გარკვეული ნაწილი გადადიან სოციალიზმის მხარეს. შედეგად ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა მიიღო სოციალიზმი, რადგან მასში დაინახა ლიბერალური ტრადიციის გაგრძელება. მათ აბსურდათ ეჩვენებოდათ გაფიქრება იმაზე, რომ სოციალიზმი გამოიწვევდა თავისუფლების დაკარგვას“. თუმცა, 1930-იანი წლებიდან იმატა იმ მოაზროვნეთა რიცხვმა, რომლებიც სოციალიზმისა და ფაშიზმის შედეგებს შორის მსგავსებას პოულობდნენ.

მწერალი პიტერ დრუკერი 1939 წელს წერდა: მარქსიზმის მეშვეობით თავისუფლებისა და თანასწორობის მიღწევის რწმენის სრულმა გაქარწყლებამ რუსეთი აიძულა დადგომოდა თავისუფლების უარყოფის და უთანასწორობის ტოტალიტარული საზოგადოებისაკენ მიმავალ იმავე გზას, რომელიც გერმანიამაც გაიარა. კომუნიზმი და ფაშიზმი არსობრივად ერთი და იგივე სულაც არ არის. ფაშიზმი არის საფეხური, რომელიც მიღწეულ იქნა მას შემდეგ, რაც კომუნიზმის სიყალბე დადასტურდა და ეს სიყალბე ისევე დადასტურდა რუსეთში, როგორც პრეჰიტლერულ გერმანიაში“ (Drucker P. 1939). არანაკლებ საინტერესოა მრავალი ფაშისტის ლიდერის ინტელექტუალური ევოლუცია. ამ მოძრაობის ლიდერების დიდმა ნაწილმა, იტალიელი მუსოლინიდან მოყოლებული მოღვაწეობა დაიწყო, როგორც სოციალისტებმა და დაამთავრეს, როგორც ფაშისტებმა ან ნაცისტებმა.

„სოციალიზმი მოითხოვს დაგეგმვას... დაგეგმვა განაპირობებს დიქტატურას, რადგან თუ აუცილებელია ცენტრალური დაგეგმვის ფართო მასშტაბებით განხორციელება, დიქტატურა არის ძალადობის ყველაზე ეფექტური და მეტად საჭირო საშუალება...“.

„პიროვნული თავისუფლება შეუძლებელია შეეგუოს ერთი კონკრეტული მიზნის უზენაესობას, რომელსაც მთელი საზოგადოება მუდმივად უნდა დაექვემდებაროს... ომის დროს კეთილგონივრულია თავისუფლების დროებითი

შეზღუდვა, რათა მომავალში ის უფრო დაცული იყოს“. მაგრამ თქმა იმისა, რომ „მშვიდობის მისაღწევად საჭიროა ყველაფრის ისე კეთება, როგორც ეს ომში გამარჯვების მისაღწევად ვისწავლეთ, სრული შეცდომაა“. თუ ომის დროს თავისუფლების შეზღუდვა დროებითია, გეგმური ეკონომიკა განაპირობებს თავისუფლების მუდმივ შეზღუდვას. „მათთვის, ვინც თვალი ადევნა სოციალიზმის ფაშიზმად გარდაქმნას მე-20 საუკუნის პირველ ორ მეოთხედში, კავშირი ამ ორ წესწყობილებას შორის სრულიად ცხადია. სოციალისტური პროგრამის რეალიზება თავისუფლების განადგურებას ნიშნავს. დემოკრატიული სოციალიზმი, ბოლო რამდენიმე თაობის უდიდესი უტოპია, უბრალოდ განუხორციელებელია“.

სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია დანაშაულის გარეშე. ასეც იყო ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის და საჭოთა კავშირის ისტორიაში. ამასთან საკმაოდ მაღალი ინტელექტის ადამიანებიც კი, რომლებსაც უწინ შეიძლება აზრადაც არ მოსვლოდათ დანაშაულის ჩადენა. ისინი არც ფიქრობდნენ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედების ლოგიკა აუცილებლად მიიყვანდა დანაშაულის ჩადენამდე, ადამიანის მოკვლამდეც კი. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბევრი იტელექტუალი იმედგაცრუებამდე მივიდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ისინი მიხვდნენ, რომ ასეთ საზოგადოებაში რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიხარ მით უფრო იზრდება ამორალიზმის ხარისხი. სტალინმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ იგი მზად იყო უარი ეთქვა ყოველგვარ მორალურ პრინციპზე. რაც უფრო ამორალურია ადამიანი მით უფრო ადვილია სხვა ადამიანებზე გამარჯვების მოპოვება. არამზადა ყოველთვის გაიმარჯვებს კარგ ადამიანზე, რადგან არამზადა კარგ ადამიანს უყურებს როგორც არამზადას, ხოლო კარგი ადამიანი არამზადას უყურებს ისე თითქოს იგი კარგი ადამიანი ყოფილიყოს. იქ, სადაც არ არის მორალური შეზღუდვები ინტელექტუალური ელიტა გადაშენების გზაზეა. ისინი უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებულნი, რომ შეინარჩუნონ საკუთარი ძალაუფლება და ნაკლებად ფიქრობენ შეესაამებოდნენ თავიანთ ინტელექტუალურ დონეს. ელიტა, რომელიც არ განახლდება აუცილებლად განიცდის დეგრადაციას.

ტოტალიტარიზმი, ჰაიეკის თანახმად, გულისხმობს მთელი საზოგადოების ორგანიზებას ერთიანი მიზნის მისაღწევად და უარყოფს კანონით დაცულ ინდივიდუალურ ავტონომიას. რადგანაც ერთი ყოვლისმომცველი გეგმით ხელმძღვანელობა გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას დიდი რაოდენობის ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში, რის გამოც, ძალიან მალე, დემოკრატიული პროცედურები არაქმედითუნარიანი აღმოჩნდება. რეალური ძალა აუცილებლად დაიწყებს კონცენტრაციას "ექსპერტების" მცირე ჯგუფის ხელში. გეგმა ადგენს იერარქიის მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს, რომელთა მისაღწევად აუცილებელია ძალაუფლების კონცენტრაცია. ამ დროს გადაწყვეტილებები არ ეფუძნება სამართლის პრინციპებს და წარმოადგენს მხოლოდ შიშველ მიზანშეწონილობას. მყარ სამართლებრივ წესებს და ნორმებს ცვლის კონკრეტული მოთხოვნები და მითითებები, კანონის უზენაესობას – პოლიტიკური ძალაუფლების უზენაესობა, მართვის შეზღუდული ფორმას – შეუზღუდავი ფორმა. ასეთი შიშველი მიზანშეწონილობა შეუთავსებელია ეთიკურ ნორმებთან: მორალურად ითვლება ყველაფერი, რაც ემსახურება დასახული მიზნების მიღწევას, მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდებს და საშუალებებს გამოიყენებ ამისათვის. მაგრამ, რადგანაც ხელისუფლების ორგანოებს ფიზიკურად არ შეუძლიათ თითოეულ წვრილმან საქმეზე ბრძანებების გამოცემა, წარმოქმნილ სიცარიელეს ავსებს კვაზი-მორალური კვაზი-პრინციპები.

### *რატომ ექცევა სათავეში ყველაზე უარესი?*

ჰაიეკს ერთ-ერთი თავის ეპიგრაფად მოყვანილი აქვს ლორდ აქტონის სიტყვები: „ყველა ძალაუფლება რყვნის, მაგრამ აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“.

ჰაიეკს სურს დაამტკიცოს, რომ ტოტალიტარული სისტემების წარმოშობა ისტორიული შემთხვევითობის, ან ხელისუფლების სათავეში შემთხვევით მოსული ბანდიტების გამო არ ხდება. ტოტალიტარული სისტემების ყველაზე ცუდი

თავისებურებები სრულიად არ წარმოადგენენ შემთხვევითს, ადრე თუ გვიან ისინი აუცილებლად გამოვლინდება ნებისმიერ ტოტალიტარულ მმართველობაში.

სოციალიზმი თანმიმდევრული რომ იყოს, იგი უნდა მსჯელობდეს ისე როგორც რობესპიერი, ან მარატი. მას უნდა უყვარდეს კაცობრიობა და ამავე დროს ემაფოტზე აიყვანოს ადამიანები, თავისუფლება წაართვას ადამიანებს, რადგან ისინი ვერ აღწევენ იმ შედეგებს რაც თავდაპირველად იყო დასახული. დოსტოევსკის რომანში "ეშმაკნი ", შიგალევი ამბობს: "შეუზღუდავი თავისუფლებიდან გამომდინარე, მე ვასკვნი შეუზღუდავ დესპოტიზმს... მონები თანაბარნი უნდა იყვნენ. დესპოტიზმის გარეშე არასოდეს ყოფილა არც თავისუფლება და არც თანასწორობა, მაგრამ ნახირში უნდა იყოს თანასწორობა". მისი დასკვნები პირდაპირ წინააღმდეგობაშია თეორიის თავდაპირველ წინამძღვრებთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, შიგალევის მტკიცებით, მისი თეორია ერთადერთი სწორი თეორიაა. ასევე სოციალისტების ლოგიკით სოციალისტური წყობის გზაც წარმოადგენს ერთადერთ მისაღებ გზას.

ასევე, როდესაც დემოკრატი სახელმწიფო მოღვაწე ცდილობს ეკონომიკური ცხოვრების დაგეგმვას, დიქტატორული ძალაუფლების გარეშე იგი ვერ შეძლებს თავისი გეგმების განხორციელებას. იგი აუცილებლად დადგება უზნეობასა და წარუმატებლობას შორის არჩევნის წინაშე. „სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული, რომ ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილ საზოგადოებაში წარმატებებს, როგორც წესი, უპრინციპო, არაკეთილსინდისიერი პირები აღწევენ... ტოტალიტარულმა ლიდერმა გარშემო უნდა შემოიკრიბოს ადამიანები, ვინც ნებაყოფლობით ემორჩილება იმგვარ დისციპლინას, რომელიც ხალხის თავს ძალით უნდა მოახვიონ.

სოციალიზმის დამყარება მხოლოდ იმ მეთოდებითაა შესაძლებელი, რომლებსაც თავიდან თავად სოციალისტები უარყოფდნენ. თავიდან სოციალისტები იმედოვნებდნენ, რომ ხალხი მთელი საზოგადოების გარკვეული გეგმის მიხედვით ორგანიზების იდეას საკუთარი ნებით დათანხმდებოდა. მაგრამ სხვები ხვდებოდნენ რომ დაგეგმილ საზოგადოებაში საუბარია არა უმრავლესობის თანხმობაზე, არამედ



ერთი, საკმარისად დიდი ჯგუფის შეთანხმებულ მოქმედებებზე, რომელიც მზადაა მართოს ყველა საქმე.

არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ნებისმიერ საზოგადოებაში ალტკინებულ თანამოაზრეთა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯგუფი, არა საუკეთესო, არამედ ყველაზე უარესი წევრებისაგან ყალიბდება.

პირველი – რაც უფრო მაღალია პიროვნებების განათლება და ინტელექტი, მით უფრო მრავალფეროვანია მათი გემოვნება და შეხედულებები. ასეთი ადამიანები არასოდეს არ იქნებიან ერთსულოვანნი ღირებულებათა ნებისმიერ კონკრეტულ სისტემაზე. იმისათვის რომ მივაღწიოთ შეხედულებების ერთგვაროვნებას, ძიება უნდა ვაწარმოოთ საზოგადოების ისეთ ფენებში, სადაც დაბალი ზნეობრივი და ინტელექტური დონეა, და სადაც პრიმიტიული ინსტინქტები ბატონობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანთა უმრავლესობას დაბალი ზნეობრივი სტანდარტები აქვს და მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ ერთგვაროვანი ღირებულებების მქონე ადამიანთა ყველაზე დიდ ჯგუფს სწორედ დაბალი ზნეობრივი მოთხოვნები აქვს.

მეორე – ეს ჯგუფი იძულებულია მხარდაჭერა დამჯერი და დამყოლი ადამიანებისგან უნდა მიიღოს, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ და მზად არიან სხვისი შეხედულებები მიიღონ. ესენი იქნებიან მერყევი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ემოციური მდგომარეობით მზად არიან ტოტალიტარულ პარტიას მიენდონ.

მესამე – მომხრეების შეთანხმებულ ორგანიზმად შესადუღაბებლად, ლიდერმა საერთო ადამიანურ სისუსტეებს უნდა მოუხმოს. როგორც ჩანს, ადამიანებს უფრო უადვილდებათ ნეგატიური, ვთქვათ მტრის საერთო სიძულვილიდან ან მდიდრებისადმი შურიდან გამომდინარე, პროგრამის ირგვლივ შეთანხმება, ვიდრე რომელიმე პოზიტიური ამოცანის მიზანდასახვა. სამიზნე „მტერი“ შეიძლება ქვეყნის გარეთ ან ქვეყნის შიგნით იყოს, მაგალითად, ებრაელი გერმანიაში ან კულაკი – რუსეთში. ნებისმიერ შემთხვევაში ამ ხერხს უდიდესი უპირატესობა აქვს, რადგან

წინამძღოლს მოქმედების უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე ნებისმიერი პოზიტიური პროგრამა.

ტოტალიტარულ ჯგუფში ან პარტიაში წარმატების მიღწევა მნიშვნელოვანწილად უზნეო საქციელისათვის მზადყოფნაზეა დამოკიდებული. აქ მოქმედებს კოლექტივისტური ეთიკის პრინციპი – შედეგი ამართლებს საშუალებას. კოლექტივისტისათვის მთავარია ყველაფერი რაც „საერთო კეთილდღეობას“ ემსახურება. ინდივიდი მხოლოდ საშუალებაა, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს იმ დიადი ერთობის მიზნების მისაღწევად, რასაც საზოგადოება ან ერი ეწოდება. კოლექტივიზმის გარდაუვალი მახასიათებლებია: შეურიგებელობა და განსხვავებული აზრის დაუნდობელი ალაგმვა, თვალთმაქცობა და დასმენა, ცალკეულ პირთა ცხოვრებისა და ბედნიერებისადმი სრული გულგრილობა, ხოლო ისეთი ქმედებები, რომელიც უარყოფით გრძნობებს იწვევს, მაგალითად: ტყვეების დახვრეტა ან მოხუცებისა და ავადმყოფების მოკვდინება, აიხსნება, როგორც უბრალო მიზანშეწონილობა. ასობით ათასი ადამიანის დედაბუდიანად აყრა და გადასახლება პოლიციის ძალისმიერ ინსტრუმენტად გადაიქცა, რასაც თითქმის ყველა ეთანხმება. ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის სასარგებლო მსახური გახდეს, ადამიანი მზად უნდა იყოს ყველა მისთვის ნაცნობი ზნეობრივი კანონის უარსაყოფად.

კოლექტივიზმი ნიშნავს სიმართლის დასასრულს. ტოტალიტარული სისტემის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია, რომ დამგეგმავების დასახული მიზნები ხალხმა გაითავისოს, რაც საინფორმაციო წყაროების სრული კონტროლითა და მიზანმიმართული აგიტაცია-პროპაგანდით მიიღწევა. „კოლექტიური თავისუფლება“ არის არა საზოგადოების ცალკეული წევრების თავისუფლება, არამედ თვით დამგეგმავთა განუსაზღვრელი თავისუფლება, საზოგადოებას მოექცნენ ისე, როგორც მათ მოეპრიანებათ. ეს არის თავისუფლებისა და ძალაუფლების აღრევა. საზოგადოების მხრიდან კრიტიკა ან თუნდაც ეჭვების გამოხატვა ძირშივე აღმოიფხვრება, რადგან მას შეუძლია შეასუსტოს რეჟიმის მხარდაჭერა. კონტროლი

ვრცელდება იმ საგნებზეც, რომლებსაც ერთი შეხედვით არც კი შეიძლება, რომ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად, ალბათობის თეორიას დაუპირისპირდნენ, როგორც „სემიტურ შეტევას ქრისტიანულ და ჭეშმარიტ გერმანულ საგანთა წყობაზე“, აგრეთვე იმიტომ, რომ ის „უპირისპირდება დიალექტურ მატერიალიზმს და მარქსისტულ დოგმატიკას“. ყველა ქმედება გამართლებული უნდა იყოს გააზრებული საზოგადოებრივი მიზნით. არ უნდა ხდებოდეს სპონტანური, უმართავი ქმედება, რადგან ამას შესაძლებელია მოყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები, რასაც გეგმა არ ითვალისწინებს.

კოლექტივიზმის გაბატონების შედეგად იცვლება ზნეობრივი ღირებულებები. ეს არის ღირსებები, რომელსაც სულ უფრო და უფრო ნაკლებად სცემენ პატივს ბრიტანეთსა და ამერიკაში. ეს ღირსებებია დამოუკიდებლობა და თავდაჯერებულობა, პირადი ინიციატივა და პასუხისმგებლობა, ნებაყოფლობითი საქმიანობის წარმატებისადმი რწმენა, მეზობლების საქმეებში ჩაურევლობა და განსხვავებულისადმი შემწყნარებლობა, ხელისუფლებისა და მოხელეთა ძალაუფლების ჯანსაღი შეზღუდვა.

### **დაგეგმვა კანონის უზენაესობის საპირისპიროდ**

თავისუფალ ქვეყანაში ტოტალიტარული სისტემისაგან განსხვავებით მთავარია კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობა ნებისმიერ ქმედებაში შეზღუდულია წინასწარ გაცხადებული კანონმდებლობით, წესებით. კანონით განისაზღვრება ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში ხელისუფლების მიერ თავისი ძალაუფლების გამოყენება. ასევე, თითოეული კონკრეტული პიროვნება სწორედ ამ წესებზე დაყრდნობით გეგმავს საკუთარ საქმიანობას. ამ დადგენილი წესების ფარგლებში ადამიანი თავისუფალია, ესწრაფვოდეს საკუთარ მიზნებს.

ეკონომიკის სოციალისტური დაგეგმვა სრულიად საწინააღმდეგოს გულისხმობს. სოციალისტების აზრით, ისევე როგორც ინჟინრებს, პროგრამისტებს შეუძლიათ დაგეგმვა ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია იგივეს განხორციელება სოციუმზე,

უფრო მეცნიერულად და სამეცნიერო მეთოდები გამოვიყენოთ საზოგადოების ორგანიზებისათვის. მეცნიერული დაგეგმვა, მეცნიერული კომუნიზმი, მეცნიერული ათეიზმი - ყველაფერი ეს უნდა იყოს მეცნიერული.

ცენტრალური დაგეგმვის სისტემა თავად განსაზღვრავს პრიორიტეტებს, თუ რა არის საუკეთესო და რა ყველაზე უარესი, რა არის საჭირო და რა არასაჭირო, ვინ არის სასარგებლო და ვინ არის უსარგებლო. ამით დაგეგმვა, ფაქტობრივად, ნერგავს არათანასწორობას და დისკრიმინაციას, რითაც უარყოფილია კანონის წინაშე ყველას თანასწორობა: რაც გეგმით დასაშვებია ერთთათვის, აკრძალულია სხვებისთვის. როცა არარსებობს მორალური შეზღუდვების სისტემა მოქმედებას იწყებს უკუშერჩევის მექანიზმი: გადარჩებიან და ზემოთ აღმოჩნდებიან ის პირები, ვინც მთლიანად თავისუფალია მორალური ზედმეტი ტვირთისაგან.

რაც უფრო მეტს „გეგმავს“ ხელისუფლება, მით უფრო უჭირთ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვა ცალკეულ პირებს. ეს იგივეა, რაც განსხვავება საგზაო ნიშნების დადგმასა და ხალხისათვის მითითებას შორის, თუ რომელი გზა უნდა აირჩიონ. მეტიც, ცენტრალური დაგეგმვის პირობებში ხელისუფლება ვერ იქნება მიუკერძოებელი. ცენტრალური დაგეგმვა გულისხმობს, რომ საკანონმდებლო გზით დადგინდეს, როგორი უნდა იყოს ცალკეული ადამიანების ფულადი უზრუნველყოფა და რა ქონებას უნდა ფლობდეს ადამიანი. კანონის უზენაესობა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის გარანტიაა. იგი მთავრობის ნებელობით ძალმომრეობას უპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ სოციალისტები (და ნაცისტები) ყოველთვის უკმაყოფილობას გამოთქვამდნენ „ზოგადი“ სამართლის მიმართ, რითიც უარყოფდნენ კანონებს, რომლებიც არ საზღვრავენ ცალკეული ადამიანების კეთილდღეობის საკითხებს. ამის საპირისპიროდ ისინი „კანონის სოციალიზაციას“ მოითხოვდნენ და მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდნენ.

გეგმურ საზოგადოებაში კანონმა ყველა იმ მიზანსწრაფვისა და ჩანაფიქრის ლეგალიზება უნდა მოახდინოს, რომელიც ხელისუფლების ძალადობრივ ქმედებებს

მოსდევს. თუ კანონი ამბობს, რომ ამა თუ იმ მმართველ ორგანოს შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს, მაშინ ყველაფერი, რასაც ასეთი მმართველი ორგანო გააკეთებს, ლეგალურად ჩაითვლება – თუმცა ამგვარი ქმედება გამორიცხავს კანონის უზენაესობას. კანონის უზენაესობის შეგნება მხოლოდ ლიბერალურ ეპოქაში აღმოცენდა. ის კანონებში განსახიერებული თავისუფლებაა. როგორც იმანუელ კანტი ამბობდა: „კაცი თავისუფალია, თუ მას არა პიროვნების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კანონის მორჩილება სჭირდება.“

ცენტრალიზებული დაგეგმვა არსებითად არადემოკრატიულია, რადგან ის მოითხოვს "რომ ადამიანთა მცირე ჯგუფის სურვილები განხორციელდეს მთელ საზოგადოებაზე..." ამ მცირე ჯგუფთა ცენტრალიზებული მიზნებისკენ სწრაფვა ანადგურებს კანონის და ადამიანის თავისუფლების უზენაესობას. იქ, სადაც არის ცენტრალიზებული დაგეგმვა "ადამიანი, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ხდება უბრალო საშუალება, რომელიც შესაძლოა ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნას ისეთი აბსტრაქციების სამსახურში, როგორცაა "სოციალური კეთილდღეობა" ან "საზოგადოებრივი სიკეთე". ძალიან ღარიბსაც კი უფრო მეტი პირადი თავისუფლება აქვს ღია საზოგადოებაში, ვიდრე ნებისმიერს ცენტრალიზებულად დაგეგმილ საზოგადოებაში. კონკურენტული საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს სასამართლო ბოქაულს, ხოლო დაგეგმილი ეკონომიკა ჯალათს". სოციალიზმი ფარისევლური სისტემაა, ვინაიდან მის მიერ ნაქადაგევი ჰუმანიტარული მიზნები შესაძლებელია პრაქტიკაში სასტიკი მეთოდებით განხორციელდეს", რასაც უმრავლესობა სოციალისტებისა შესაძლოა არც ამართლებდეს". ასეთი ცენტრალიზებული სისტემა ასევე მოითხოვს ეფექტურ პროპაგანდას, ადამიანთა დასარწმუნებლად, რომ სახელმწიფოს მიზანი სწორედ ისინი არიან".

### **სოციალიზმის და კაპიტალიზმის არაეფექტური კონვერგენცია**

დღეს ძალიან პოპულარულია ორი უკიდურესობის სინთეზის იდეა. ზოგიერთი ფიქრობს, უკიდურეს სოციალიზმსა და უკიდურეს კაპიტალიზმს შორის

შესაძლებელია ერთგვარი ოქროს შუალედის პოვნა და სოციალიზმისა და კაპიტალიზმის გაერთიანება.

ჰაიეკის მტკიცებით, გაერთიანებული სოციალიზმი და კაპიტალიზმი კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე თავად სოციალიზმი. ასეთი ოქროს შუალედით, ერთგვარი სინთეზით ვერც სოციალიზმი იგებს და ვერც კაპიტალიზმი. ასეთ პირობებში ეფექტურად ვერ მოქმედებენ ბაზრის თავისუფალი ძალები, ხოლო ყოველი დაგეგმარება გამოიწვევს კოორდინაციის მოშლას. ვერ ამოქმედდება ყველა ის ძალა რომელიც ეფუძნება თანამშრომლობის სპონტანურ წესრიგს. ასევე, სოციალიზმი, რომელიც იყენებს საბაზრო მექანიზმებს, შეუძლებელია იყოს ეფექტური, რადგანაც დაგეგმარება მოითხოვს კაპიტალიზმის უარყოფას.

ამიტომ, ჰაიეკისათვის კონვერგენციის კონცეფცია, "შესამე გზა" – აბსურდული და თავის მოტყუებაა. მისი აზრით, მთავარია – საითკენაა მიმართული მოძრაობის ვექტორი, და აქ კითხვა ისმის ასე: "ან/ან: ან თავისუფალი საზოგადოებისკენ, ან ტოტალიტარული სისტემისკენ.

### **“კეთილდღეობის სახელმწიფო”**

ჰაიეკის მტკიცებით, დასავლურმა დემოკრატიებმა, მათ შორის ინგლისის და ამერიკის, "თანდათან უარყვეს ეკონომიკური თავისუფლების იდეები, რომელთა გარეშეც პირადი და პოლიტიკური თავისუფლება არასოდეს არსებობდა წარსულში". საზოგადოება შეცდომით ცდილობდა კეთილდღეობის უზრუნველყოფას ცენტრალიზებული დაგეგმვის მეშვეობით, რომელიც აუცილებლად იწვევს ტოტალიტარიზმის. "ჩვენ, ფაქტობრივად ბაზრის უხილავი მექანიზმები შევცვალეთ კოლექტიურით".

როდესაც იწეროდა "გზა ბატონყმობისაკენ", სოციალიზმის იდეა დაკავშირებული იყო გარკვეულ პროგრამასთან – წარმოების საშუალებათა სოციალიზაცია და მათი ცენტრალიზებული მართვა. ომის შემდგომ პერიოდში, დაიწყო რადიკალური სოციალიზმის თანდათანობითი გამოდევნა ზომიერი

სოციალიზმით. ასეთ სოციალიზმს აგრეთვე უწოდებენ “კეთილდღეობის სახელმწიფოს”. ამ დროს მთავარია არა ეკონომიკის სოციალიზაცია, არამედ შემოსავლების სამართლიანი განაწილება, რომლის ორგანიზებას და დაფინანსებას ახდენს სახელმწიფო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალიზაცია ეხება არა წარმოების პროცესს (როგორც თავდაპირველ სოციალისტურ პროექტში), არამედ განაწილების პროცესს.

ერთი შეხედვით, სოციალიზმის შვედეთის ნიმუში “კეთილდღეობის სახელმწიფოს” სახით უარყოფს ჰაიეკის თეზისს, რომ სახელმწიფო ინტერვენციონიზმი ტოტალიტარული სისტემისკენ მიმავალი გზაა. თუმცა, როგორც ჰაიეკი აღნიშნავს, სახელმწიფო რეგულირების თანდათანობითი და ეტაპობრივი გაფართოება ტოტალიტარიზმისაკენ მიმავალი შენელებული სვლაა და სრულებით არ აუქმებს მას.

თავის ბოლო შრომებში ჰაიეკი დიდ ყურადღებას უთმობს “კეთილდღეობის სახელმწიფოს” საკითხს. მისი აზრით, “კეთილდღეობის სახელმწიფოს” მიზანი – სამართლიანი გადანაწილების მიღწევა – თავად ილუზიაა. სამართლიანი გადანაწილების კონცეფცია რეალურ შინაარსს მხოლოდ ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში იძენს, სადაც გარკვეული ორგანო საზოგადოების თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს საერთო სარგებელიდან წილს. შედეგად, “კეთილდღეობის სახელმწიფოს” ქმნის ტოტალიტარული საზოგადოების ჩამოყალიბების რეალურ პერსპექტივას.

ყველაზე მთავარი რასაც მან ყურადღება მიაქცია – “კეთილდღეობის სახელმწიფოში” ადამიანთა ფსიქოლოგიის გარდაუვალ ცვლას, როდესაც ისინი პატერნალისტურ გარემოში ექცევიან. სახელმწიფოზე დამოკიდებულების ჩვევა ასუსტებს ინდივიდუალურ ინიციატივას და პასუხისმგებლობას, შესაბამისად იცვლება საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტები. ზომიერი სოციალიზმის შემთხვევაში სახელმწიფო მიუთითებს მწარმოებლებს თუ რა უნდა გააკეთონ მათ და

რა არ უნდა გააკეთონ. მაგრამ ეს მითითებები შეიძლება ადმინისტრაციული წესების და მონოპოლიური სტრუქტურების ისეთ ქსელად გადაიქცეს, რომ საბაზრო წესრიგის შემოქმედებითი ძალები პარალიზებული იქნება.

ჰაიეკის მიხედვით, ღირსეული სამყაროს აშენების ერთადერთი შანსი არის "საერთო დონის გაუმჯობესება თავისუფალი ბაზრის მეშვეობით. ჰაიეკი ხშირად იშველიებდა ინგლისურ ანდაზას: "ვინც არ სრულყოფს თავის პრინციპებს, ის აუცილებლად ვარდება ეშმაკის კლანჭებში". როდესაც ლიბერალური საბაზრო წესრიგი ბრმად მიიღება როგორც მოცემულობა და იგნორირება ხდება მის საფუძვლად მდებარე საწყისი პრინციპების მუდმივი გააზრების და განვითარების იგნორირება, ტოტალიტარიზმისაკენ გზა გარდაუვალია.

---

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Drucker P. The End of the Economic Man. [N.Y.,] 1939. P. 230.
- Hazlett Thomas W. "The Road from Serfdom" Forseeing the Fall. 1992. <http://reason.com/archives/1992/07/01/the-road-from-serfdom>.
- Hayek, F. A. Interviewee; Craver, Earlene, interviewer; Pacific Academy of Advanced Studies; University of California, Los Angeles. Oral History Program. 1983.
- Hayek. Socialism and Science. *The Economic Society of Australia and New Zealand (Canberra Branch)*. IPA Review— October-December, 1976.
- Hayek. F. A. 2001. The Road to Serfdom. Routledge Classics.
- Hayek, F. A., The Road to Serfdom. University of Chicago Press, 1994
- Hicks J. *Critical essays in monetary theory*. Oxford, 1967, p. 203
- Hoover, Kenneth R. Economics as Ideology. Rowman and Littlefield Publishers (2008) p. 152
- Keynes, John Maynard. 1982. Social, Political, and Literary Writings. Vol. 28 of The Collected Writings. Edited by Donald Moggridge. London: Macmillan, Cambridge University Press, and St. Martin's Press for the Royal Economic Society.
- Lensch Paul. Three years of world-revolution. London. 1918
- Mises Ludwig von. Socialism: An Economic and Sociological Analysis. Indianapolis, IN: Liberty Fund, 1981.
- Moeller van den Brock A. Socialismus und Aussenpolitik. [Breslau,] 1933.
- Orwell George: As I please, 1943-1946 The Collected Essays, Journalism & Letters, Vol 3. 2000.



- Plenge Johann. 1789 und 1914: Die symbolischen Jahre in der Geschichte des politischen Geistes, Springer, Berlin 1916
- Schmitt C. Der Hüter der Verfassung. Tübingen, 1931.
- Shumpeter. "The Journal of Political Economy", 1946, v.54, p.269
- Social Research (New York), vol. VIII, no. 4, November 1941.
- Spengler Oswald. Preußentum und Sozialismus, München 1919.
- Sombart W, Händler und Helden [Merchants and Heroes]. Munich and Leipzig: Duncker und Humblot, 1915, pp. 3-6.
- Tocqueville A. de. Discours prononcé a assemblée constituante le 12 Septembre 1848 sur la question du droit au travail // Oeuvres complètes d'Alexis de Tocqueville. [Paris.] 1866. Vol. IX. P. 546
- 1789 und 1914: Die symbolischen Jahre in der Geschichte des politischen Geistes, Springer, Berlin 1916
- Ленин. В.И. ГОСУДАРСТВО И РЕВОЛЮЦИЯ. Полное собрание сочинений. – 5-е изд. – Т. 33. М.: Издательство политической литературы, 1974. 98–102
- Усанов Павел. “Дорога к рабству“ Ф. фон Хайека в свете современности. Presentation Transcript. <http://www.docme.ru/doc/20778/doroga-k-rabstvu> (ინფორმაცია მოპოვებულია ელექტრონული რესურსიდან 2013 წლის 3 ივნისს)

*გამოქვეყნდა რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 2 2015.*

**ციტირება:** თენგიზ ვერულავა. „ფრიდრიხ ჰაიეკის „გზა ბატონყმობისაკენ“ თანამედროვეობის ჭრილში“. *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა*. №2. 2015.